# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 თებერვალი 2003 №30 (1801) | ფასი 50 თეთრი



რაგბიში ორი იბერიიდან საქართველო უფრო ყოჩაღობს

# ლაბაძემ კი! ბლეი კი! 7:6 7:5

*ირაკლი ლაბაძის წარმატებებზე წერით განებივრებულები არასდროს ვყოფილვართ. მას დაუმარცხებია ანდრე აგასი, მოუგია იუნეს ელ აინაუისთვის, მაგრამ ვინაიდან უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი ნამდვილ, სა-ATP-ო ბრძოლებს უფრო აგებს, ვიდრე იგებს, მან ვერა და ვერ დაიმკვიდრა ადგილი პლანეტის თუნდაც ქვეელიტარულ ფენებში. წლეულს ირაკლიმ ATP-ს ეგიდით გამართულ ტურნირებში სამი მატჩი ითამაშა და სამივე დათმო, ამდენად სასიამოვნო მოულოდნელობაა მის მიერ ამერიკელი ჯეიმს ბლეიკის ძლევის ამბავი. ბლეიკი, წინა წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი ჩოგბურთელი, საკმაოდ ყოჩაღი მობურთალიცაა, კლასიფიკაციაში 23-ე ადგილი უჭირავს და მემფისური ტურნირის შარშანდელი ფინალისტია. ლაბაძემ მას მეორე წრის დაძაბული ბრძოლა 7:6, 7:5 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა. ბლეიკის ძლევის შემდეგ ირაკლის უფრო წინ წასვლის კარგი შანსი გაუჩნდა. მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება უცნობი ამერიკელი მეჩოგნე, ჯორჯიის მკვიდრი ბრაიან ვაალი.*



# ესპანელებისთვის რეპეტიცია, ქართველებისთვის რეპუტაცია

*თბილისს დიდი რაგბი უბრუნდება, დღეს, 3 საათზე „ეროვნულზე" ბორჯღალოსნები ესპანელი „ლომების" დამარცხებას ეცდებიან. ამ თამაშის მოგება სულაც არაა მონაწილეთა ცხოვრების მთავარი მიზანი. ქართველებს თავი მსოფლიოს თასზე დაუგულებიათ, ამიტომაც კლოდ სორელი თამაშის წინ გასახდელში ალბათ არ დაიწყებს შეგირდთა შეგონებას და მათთვის ამ თამაშის მნიშვნელობის გაშიფვრას. ვფიქრობთ, არც ესპანელები შეაკლავენ თავს ტრავმებით დასუსტებულ, მაგრამ ზოგადად მაინც მათზე ძლიერ ქართველებს. მსოფლიოს თასზე მიმავალი ესპანური ბილიკი სულ სხვა მეტოქეზე გადის და პირინეელები ამ თამაშს რეპეტიციის სტატუსს ანიჭებენ.*

*მაგრამ დღევანდელ მატჩს ინტრიგა მაინც ახლავს, ქართველებმა ერთა თასის პირველ ტურში გაცილებით სუსტ პორტუგალიასთან დაიხიეს და სახელის აღდგენა მათი უპირველესი სადღეისო საზრუნავია.*

*ბრძოლაც იქნება, რაკი რაგბი თვით ბრძოლაა, კვეთებაა, შერკინებაა, მეტოქის მოედანზე დანარცხებაა, ლელოს გატანაა. საქართველომ ამ ჯახშიც უნდა გაიტანოს თავისი ლელო.*

# მორიენტესმა დელ ბოსკეს დედა უხსენა
# რა შუაშია რონალდო?





*ევროპულ ფეხბურთში ისეთი ამბები ხდება, ჩვენს ცოდვილ ეროვნულ ჩემპიონატშიც კი იშვიათად გვინახავს.*

*ალექს ფერგიუსონის მიერ დევიდ ბექემისთვის ნასროლი ბუცისა და ნარბის გახეთქვის ისტორია ჯერ კიდევ მთავარ თემად რჩებოდა, როცა ესპანეთიდან ასეთი ცნობა მოვიდა.*

*შე, ბო... შვილო, მიუძახებია ფერნანდო მორიენტესს ვისენტე დელ ბოსკესთვის და გასახდელში შევარდნილა. ეს ამბავი „რეალ" — „დორტმუნდის" ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის მატჩისას მომხდარა. საქმე ისაა, რომ „სამეფო" კლუბში რონალდოს გადაბარგების მერე მორიენტესს სათადარიგოთა სკამს ახეხინებენ. „დორტმუნდთან" შეხვედრისასაც იქ იჯდა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ულვაშა ვისენტეს სათამაშოდ მოემზადეო კი უთქვამს, მაგრამ მინდორზე გასვლა თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე უბრძანებია. ჰოდა, ახლა შენ ითამაშე, ბო...შვილოო.*

*ღმერთმა უწყის, როგორ აეწყობა მორიენტესის მადრიდული კარიერა, მაგრამ მეორე დღეს მწვრთნელს ბოდიშის მოსახდელად კი სწვევია. ბოდიში ბოდიშად და, ამ ამბიდან ყველაზე მეტად დაზარალებული ამასწინათ იმქვეყნად წასული დელ ბოსკეს დედა გამოვიდა.*

# საქართველოშ ფოლადზე ტალახი ზილა


ოთარ კორღალიძე

**ოთარ კორღალიძემ** გუშინ 19-წლამდელთა ნაკრები რუსთავს აწვია. ჭაბუკებმა ქვემო ქართლშიც არ შეირცხვინეს თავი, უგოლოდ, მაგრამ ბრძოლით დაშორდნენ „გორდას". ცხრამეტწლამდელების გორში დაშავებული დემეტრაძე მოისაკლისეს. მის ნაცვლად ძირითადში კაჭარავა დააყენა ოთარ კორღალიძემ. სტუმართა სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *თოთლაძე, იმედაშვილი, ლუმონჯავა, ფოფხაძე, კაჭარავა, ბურნაძე, ხოჯავა, ქქონია, მარცვალაძე, გურული, წილოსანი.*

„გორდამ" ეს ხუთეული ათამაშა: *მელიაშვილი, ბერიძე, არსოშვილი, თავბერიძე, სილაგაძე, ჩხაიძე, ჯულაძე, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე, ლ. ალადაშვილი, სოხაძე.* ტრავმის გამო, რუსთაველთა რიგებში კახა ალადაშვილს არ უთამაშია.

მატჩი თვალსასეირო გამოდგა. მოუხედავად საშინელი გრუნტისა, ფეხბურთელების ცდა და მონდომება არ დაუკლიათ. მომენტებიც უხვად შეიქმნა და მეკარეებს რომ არ ეშველათ, უზვგოლიანი თამაში გამოვიდოდა. მართლაც საშინელი სანახავია „ფოლადის" საფარი აგალახებული უსწორმასწორო მოედანზე ფეხბურთელებს ექვსკაცვიანი ბურთებითაც კი უჭირდათ მოძრაობა.

ცხრამეტწლამდელებს რუსთაველ მატჩში ორგანიზებულობა ეტყობოდათ. შეტევაზე მწყობრად გადადიოდნენ, ბურთის არითმევაშიც ყოჩაღობდნენ და ერთი-ორჯერ დამუშავებული, გათვლილი იერიშებითაც შეუტიეს მეტოქეს. ფლანგური შეტევებში ხშირად ერთვებოდა იმედაშვილი, ნახევარდაცვაში კი ბურნაძე გამოირჩეოდა ზუსტი, ეფექტური პასებით. თავის მხრივ რუსთაველებსაც არ ეტყობოდათ ჩემპიონატის აუტსაიდერობა. ალადაშვილის ბიჭებმა დაცვაში არსებული პრობლემების გამო შეტევაზე გააკეთეს აქცენტი და სამ-ოთხჯერ ისეთი მომენტები გამოაცხვეს, არგატანა რომ უფრო ძნელი იყო.

ამ მატჩით კორღალიძემ სათებერვლო გეგმა ამოწურა — უახლოესი საკონტროლო მატჩი ცხრამეტწლამდელებს მარტის შუაში აქვთ დაგეგმილი. რუსთაველებმა კი სათასო მერველფინალის წინ ბოლო რეპეტიცია გაიარეს. წესით, „გორდას" არ უნდა გაუჭირდეს „სპარტაკთან" ორრაუნდიანი ბრძოლა.

გუშინდელი მატჩი გამოცდილმა თამაზ ლაცაბიძემ განსაჯა, რომელსაც ათდღიან ინტერვალში მეთოთხმეტედ მოუხდა პროფესიული მოვალეობის შესრულება. ლაცაბიძე წლეულს 50 წლის ხდება და მაინც მსაჯობისკენ მიუწევს გული — ასაკობრივი ცენზი გაუქმდა, მე კი ისეთ ფორმაში ვარ, უმაღლეს ლიგაში თავს არ შევირცხვენო. ეგებ მისცეს კიდეც შანსი გამოცდილ არბიტრს ანატოლი მილჩენკომ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ისწავლეთ და გაიზრდებით

## პონემ ქართველ მსაჯებს ბევრი წაუკითხა

*უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრი და მსაჯთა ინსტრუქტორი ბელგიელი ალექს პონე გუშინწინ ესტუმრა საქართველოს და აქაურ სამსაჯო ასოციაციას 20-21 თებერვალს პონემ ანატოლი მილჩენკოს ბიჭებს ლექციები წაუკითხა, მათთან ერთად რამდენიმე საათი გაატარა და დღეს დილით სამშობლოში დაბრუნდა.*

*ბელგიელ სტუმარს გუშინ საღამოს ფედერაციის მესამე სართულზე გადავეყარეთ. ქართველი მსაჯებს მორეოდული შეკრებიდან დაბრუნებულს იქ შემოხვევით შემოვხვდით. თარჯიმანიც თან ახლდა და ორი კითხვითაც, ინტერვიუ ვთხოვეთ. უარი არ უთქვამს, თუმც მოგვანიშნა, ორი ცოტა მაქვსო.*

— პირველად საქართველოში ათი წლის წინ ვიყავი. თქვენებური მსაჯების იმდროინდელი დონის დღევანდელთან შედარებაც არ შეიძლება. ფიზიკური და თეორიული მომზადების მხრივ მათი პროგრესი აშკარაა. შეცვლილა თქვენი მენტალიტეტიც და ეს სასიკეთოდ წაგადგებათ. ქართულ სამსაჯო კომიტეტს გარესამყაროსთან უფრო მეტი კავშირი უნდა ჰქონდეს, უცხოელებთან ბევრი რამ უნდა აერთიანებდეს და ზრდის ტემპებიც ერთიორად მოიმატებს. დღეისთვის კი კმაყოფილი ვბრუნდები უკან. ქართველი მსაჯები ცდილობენ, თანამედროვე მოთხოვნებს არ ჩამორჩნენ.

**— თუ არ ვცდებით, ფიფა-უეფას მოთხოვნა იყო, ქართველ მსაჯებს ასოციაცია შეექმნათ და დამოუკიდებლად ეარსებათ.**

— ფიფა-უეფა კატეგორიული არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ რეკომენდაცია გავეცით, რადგან მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი მსაჯთა ასოციაცია უფრო უკეთესად წარმართავს თავის საქმიანობას და პასუხისმგებლობასაც არავისთან გაიზიარებს. მაგრამ ყველაფერი უმალ არ მოგვარდება. პირველ ეტაპზე უმჯობესი იქნება, ასოციაცია ფედერაციაშივე ფუნქციონირებდეს, მერე კი დრო გამოაჩენს სავალ გზას.

— თანამედროვე ფეხბურთი ძალიან სწრაფია. ხშირად მსაჯები ალღოს ვერ უღებენ ამა თუ იმ სადავო მომენტს და შეცდომებიც გახშირდა. ამის დასტურად ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატიც გამოდგება. გამოსავალს რაში ხედავთ?

— ფიფა-უეფაში ამ საკითხზე ბევრს მსჯელობენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ახალი პროექტი მზადდება, რომელიც მოედანზე მსაჯთა რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს. არ არის გამორიცხული, მომავალში საფეხბურთო მინდორზე ორი მთავარი და ოთხი თანამსაჯი ვიხილოთ. თანაც სასურველია, მატჩის მომსახურე არბიტრებიდან ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობდეს. უმჯობესი იქნება, თუ ისინი სულაც ერთი სახელმწიფოდან იქნებიან. ვთქვათ, მთავარი მსაჯი ურუგვაელია, მაშინ დამხმარეებადაც ურუგვაელები ეყოლება.

აღნიშნული პროექტის განხორციელება ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა მიშელ პლატინის მიანდო. ფიფა საამიროებში ოცწლამდელთა ტურნირს აგვისტოში ჩაატარებს და ახალი ვარიანტიც იქ გამოიცდება. თუ პროექტმა გაამართლა, არ გაიკვირვოთ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მატჩებს ოთხი, ანაც ექვსი არბიტრი რომ მოემსახუროს.

**— სადავო მომენტის განხილვისას ვიდეოაპარატურის დახმარებაზე ფიფა-უეფამ უარი საბოლოოდ განაცხადა?**

— ვიდეოჩანაწერის მოშველიებისას ფეხბურთი თავის ხიბლს და დინამიკას დაკარგავს. ხშირი იქნება პაუზები და არც იმის გარანტია არსებობს, რომ ყველა სადავო მომენტი წესების მიხედვით დაფიქსირდება. გაიხსენეთ 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და მარადონას მიერ ინგლისის ნაკრების კარში გატანილი პირველი გოლი. დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რომ დიეგომ საბოლოო დარტყმა თავით კი არა, ხელით შეასრულა. მართალია, მერე თავად აღიარა, მაგრამ... უკეთესია, ისევ ადამიანმა განსაჯოს, შეცდომებისგან დაზღვეული კი არავინაა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# დავით ყიფიანის თასი

## მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

| | |
|---|---|
| ქუთაისი. ტორპედო. 24 თებერვალი. 14.00 საათი | თბილისი. დილმის ბაზა. 24 თებერვალი. 14.00 საათი |
| **ტორპედო — სამგურალი** | **დინამო 2 — ივერია** |
| თბილისი. შევარდენი. 24 თებერვალი. 14.00 საათი | თბილისი. ლოკომოტივი. 24 თებერვალი. 14.00 საათი |
| **ვიტ ჯორჯია — ჩიხურა** | **ლოკომოტივი — თსუ** |
| თბილისი. სინათლე. 24 თებერვალი. 14.00 საათი | ფოთი. ფაზისი. 24 თებერვალი. 14.00 საათი |
| **სიონი — ალაზანი** | **კოლხეთი — სამტრედია** |
| რუსთავი. ფოლადი. 24 თებერვალი. 14.00 საათი | ოზურგეთი. ცენტრალური. 25 თებერვალი. 14.00 საათი |
| **გორდა — სპარტაკი** | **მერცხალი — კოლხეთი 2** |
| გურჯაანი. დავით ყიფიანი. 24 თებერვალი. 14.00 საათი | თბილისი. ისანი. 25 თებერვალი. 14.00 საათი |
| **მილანი — დინამოელი** | **მერანი-ოლიმპი — ლოკომოტივი 2** |
| გორი. ქართლი. 24 თებერვალი. 14.00 საათი | მცხეთა. არმაზი. 25 თებერვალი. 14.00 საათი |
| **ცხინვალი — ჭაბუკთა ნაკრები** | **მცხეთა — დინამო** |
| ხობი. ცენტრალური. 24 თებერვალი. 14.00 საათი | გორი. ცენტრალური. 25 თებერვალი. 14.00 საათი |
| **ლაზიკა — გურია** | **დილა — ვიტ ჯორჯია 2** |
| ზესტაფონი. ცენტრალური. 24 თებერვალი. 14.00 საათი | ბათუმი, დინამო. 26 თებერვალი. 14.00 საათი |
| **მეტალურგი — ქობულეთი** | **ბათუმი — ხობი** |

*საპასუხო მატჩები 28 თებერვალს და 1 მარტს გაიმართება*

# მზადების ფასს თასი გამოაჩენს

**საქართველოში** საფეხბურთო სეზონი ზეგინდელი სათასო მერვედფინალებით განახლდება. ზეგვე დაიხურება სატრანსფერო ფანჯარა. ასე წერია ფედერაციის ახალდამტკიცებულ კანონში, რომელიც, იმედია, შესრულდება.

გუშინ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში დიდი სიხალვათე იყო. ორიოდ გუნდმა კინკილა ფეხბურთელით შეივსო განაცხადი. დანარჩენები კი შაბათ-კვირას აპირებენ იქ მისვლას და ნოდარ კაკულიას დღეში ყოფნას ამ უქმეებზე არავინ ისურვებს.

თექვსმეტი სათასო თამაშიდან თერთმეტი 24 თებერვალს ჩატარდება, ოთხი 25-ში, ხოლო ერთიც 26 თებერვალს. საპასუხო მატჩები 28 თებერვალსა და 1 მარტსაა დანიშნული.

ყველაზე გვიან „ბათუმი" ისტუმრებს მეტოქეს. ასლან ბალაძის ამალამ ბულგარეთიდან წერილი გამოგზავნა, შინ 24-ში ვბრუნდებით და იქნებ თამაში ორი დღით გადაგვიდოთო. ფედერაციამაც დასტური მისცა.

ზესტაფონურ სარბიელს დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა და იქაური გაახალგაზრდავებული „მეტალურგიც" მშობლიურ სტადიონზე ითამაშებს.

„თემურ სტეფანიაზე" ბალახი ახალდათესილია და „სიონმა" უგუნდოდ დარჩენილი ავჭალის „სინათლე" დაიქირავა.

„მერანი-ოლიმპი" დროებით ავლაბრულ სტადიონს შეეკედლება.

ზუგდიდური „ლაზიკა" ხობში წავა საბურთაოდ, რადგან მათი მოედანი ფედერაციისგან შერისხულია.

ერთი სიტყვით,ამგვარი წვრილ-წვრილი ამბებით ბრუნდება ჩვენში ფეხბურთი.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ფილიას დაკარგული მახარაძემ იპოვა

## ფანჩულიძემ სიონს ჩაქვში ჩააკითხა

**შარშან** დეკემბრიდან მოყოლებული იანვრის შუა რიცხვებამდე კოლხთა თავკაცი სოსო ფილია თავისი გუნდის ყველაზე სასარგებლო მოთამაშეს გელა ფანჩულიძეს დაეძებდა. რომ ვერსად მიაგნო, მწვრთნელი შეგირდზე განაწყენდა და საჯაროდ განაცხადა, ფანჩულიძის კოლხური კარიერა დასრულდა, თვალით აღარ დამენახოსო.

„კოლხეთის" აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი ყოფილი დამრიგებლის მუქარას ყურს არ უგდებდა და ახალ, უფრო მოხერხებულ თავშესაფარს დაეძებდა. როგორც ჩანს, მიაგნო კიდეც. სადღეისოდ ფანჩულიძე ჩაქვში, „სიონთან" ერთად ემზადება საგაზაფხულო ეტაპისთვის. ბოლნისელებმა გელა განაცხადშიც შეიყვანეს, „კოლხეთმა" კი მის სახელზე გათავისუფლების ფურცელი გასცა.

არავინ იცის, როგორ მოახერა ფანჩულიძემ ყოფილი ხელმძღვანელების გულის მოგება, მაგრამ ჩვენ უფრო თემურ მახარაძე გვაოცებს. ბოლო დროს დღე არ გავა, ბოლნისელთა ახალი შენამატის ვინაობა არ გაცხადდეს და არ არის გამორიცხული, საახალსეზონოდ „სიონში" კიდევ ვინმე „იმალებოდეს". ასეა თუ სხვაგვარად, ფაქტი ერთია, მეთოთხმეტე ეროვნულის დასკვნით ეტაპზე ბოლნისელები სერიოზული გუნდით გამოვლენ.

**მამუკა ქვანტალიანი**


თემურ მახარაძე


გელა ფანჩულიძე

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი XXVII ტური

ნანსი — ლორიანი გადაიდო

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXII ტური

კიოლნი 2:1 ალენი
კარლსრუე 1:2 ალემანია
ობერჰაუზენი 0:1 ვალდჰოფი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XXI ტური

ნაიმეგენი 1:0 გრააფსხაპი

II დივიზიონი. XXI ტური

დენ ჰააგი 0:0 სიტარდი
კამბური 0:3 დენ ბოსხი
ოსი 2:0 ვენლო
ემენი 3:0 ვეენდამი
ჰერაკლესი 2:1 დორდრეხტი
მაასტრიხტი 2:1 სპარტა
ტელსტარი 2:1 ეინდჰოვენი

### ინგლისი

I დივიზიონი. XXXIII ტური

კარდიფი 1:1 პლიმუთი

### იტალია

სერია B. XXIII ტური

ვერონა 1:0 ვენეცია

### პორტუგალია

I ლიგა. XXIII ტური

ბრაგა 1:1 ბელენენსეში

*ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მილანთან" 0:1 მარცხის შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივი" მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ახლა რკინიგზელები საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან. გუნდთან ერთად ვარჯიშობს ქართველი ახალწვეული მალხაზ ასათიანიც.*

*„სარბიელის" გამოკითხვით 2001-02 წლების საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის რუსებს დიდად რომ ეიმედებათ, ადრეც გაუწყეთ. „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა ჩვენთან საუბარში ისიც თქვა, იმედი მაქვს, მალხაზი რუსეთშიც საუკეთესო გახდებაო.*

*იქამდე კი ასათიანს ბევრი ბარიერის გადალახვა მოუწევს. ქართველი ნახევარმცველი ახალ კლუბში მონდომებით ვარჯიშობს და თავის შანსს ელის. შანსი უკვე არის, ახლა მას გამოყენება უნდა...*

*გუშინ მალხაზ ასათიანს მოსკოვში დავუკავშირდით. ვარჯიში სულ რაღაც ათიოდ წუთის დამთავრებული იყო, თუმც ჩვენებურს დაღლა ნაღდად არ ეტყობოდა*

# რუსებში ვიჯექი და იტალიაზე ვფიქრობდი

## სიომინმა ასათიანს ცალი თვალით შეხედა



მალხაზ ასათიანი (შუაში) „ლოკომოტივში" ფრთების გაშლას აპირებს

— დიდი დატვირთვები არ არის, სანამ „ლოკომოტივში" გადავიდოდი, სულ ის მესმოდა, რუსეთში აუტანელი ვარჯიშებიაო, მაგრამ ჯერჯერობით ვუძლებ. ისე, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდი ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის ემზადება და მეც სწორედ ამ პერიოდში შევუერთდი თანაგუნდელებს. ამ ეტაპზე კი, ცხადია, ფიზიკურ დატვირთვებს დიდი ყურადღება არ ექცევა. ერთი სიტყვით, თავს კარგად ვგრძნობ.

**— იტალიურ შეკრებაზე რას იტყვი. ალბათ, იდეალური პირობები გქონდათ...**

— რა თქმა უნდა. ჩოკოში მშვენიერ ბაზაზე ვვარჯიშობდით. თუმც „ლოკომოტივსაც" არა აქვს ურიგო ბაზა.

**— ორმხრივ თამაშში უინსტონ პარკსისთვის საგოლე პასი მიგიცია, რაზეც კოსტარიკელმა ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა და მადლობაც გადაგიხადა...**

— ამ ამბის გაზვიადება არ ღირს, ჩვეულებრივი ეპიზოდი იყო. ეს ხომ ჩემი საქმეა.

**— იმის თქმა მსურდა, რომ ჟურნალისტების აზრით, იმ მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული იყავი. მწვრთნელს ხომ არ ულაპარაკია შენთან?**

— არა. იური სიომინთან არ მილაპარაკია. ხომ გეუბნები, გუნდი „მილანთან" სათამაშოდ ემზადებოდა და ამის დრო არ იყო. ისე ვგრძნობ, რომ უკმაყოფილოები არ არიან. მგონი, დღეს ან ხვალ შევხვდები ხელმძღვანელებს.

**— „მილანი" — „ლოკომოტივს" ტრიბუნიდან ადევნებდი თვალს. რა შთაბეჭდილება დაგრჩა მატჩის შემდეგ?**

— სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფერო იყო. „სან სიროც" ძალიან ლამაზი ნაგებობაა. მსგავსი არასოდეს მენახა. მოხიბლული დავრჩი.

**— „ლოკომოტივს" ურიგოდ არ უთამაშია. თან მეტოქეც ასეთი დონის გუნდი ჰყავდა. ალბათ, მარცხით მაინცდამაინც უკმაყოფილოები არ არიან რკინიგზელები...**

— საწყენი მხოლოდ ის არის, რომ პირველი ტაიმის შემდეგ ფრეზე ფიქრი აშკარად შეიძლებოდა, მაგრამ „მილანმა" ტემპს მოუმატა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. ცხადია, „მილანი" ძალიან ძლიერი გუნდია.

**— თან იტალიელების ქომაგი ხარ...**

— ეგ თავისთავად.

**— „ლოკომოტივის" კაპიტანი დმიტრი ლოსკოვი შენი უმთავრესი კონკურენტი იქნება ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ შესაძლოა ის რკინიგზელებმა მალე გაყიდონ...**

— მართლა? ეს ნაღდად არ ვიცოდი. კარგია თუ ასე მოხდება. ლოსკოვი გუნდის ლიდერია და მისი შემადგენლობიდან ასე უცებ ამოგდება ცოტა ძნელია.

**— იტალიური „პარმა" სერიოზულადაა დაინტერესებული ლოსკოვის გადაბირებით.**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვი. ამის შესახებ ახლა მართლა პირველად გავიგე. ვნახოთ, რა მოხდება. ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობასთან ჩემი შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

**— მილანში კახა კალაძეს ხომ არ შეხვედრიხარ?**

— არა ამის შესაძლებლობა არ მქონია

**ქახა ზალამბერიძე**

# ნახეთ, რა ბიჭი გაგიზარდეთ



შალვა აფხაზავა

## აფხაზავას გოლებმა პირდია უკრაინელებს მოაკეტინა

**კიევის „არსენალი"** უკრაინაში საკმაოდ შეძლებულ კლუბად ითვლება. ჩვენთან ამასწინდელ საუბარში შალვა აფხაზავამაც თქვა, მშვენიერი პირობები გვაქვს და ფინანსურადაც არაფერს ვუჩივითო, თუმც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მეთოფეებს" მაინც უპოვა ხინჯი. დისციპლინარებმა დედაქალაქელების მიერ თვეების წინ განხორციელებული ტრანსფერი გამოჩხრიკეს და შესაბამისი სასჯელიც გამოიტანეს. საქმე ისაა, რომ კალინინგრადის „ბალტიკადან" შეძენილი უზბეკი ნახევარმცველის, დენის შულგას სატრანსფერო თანხა კიეველებს თურმე დღემდე არ გადაუხდიათ. ამგვარად, „არსენალს" ვალის დაფარვამდე სხვა ნებისმიერი ფეხბურთელის გადაბირება აუკრძალა.

არადა, ვიაჩესლავ გროზნის სამწყსო ერთადერთი გუნდია უკრაინაში, რომელიც მოსამზადებელ ეტაპზე არ დამარცხებულა. დედაქალაქელებმა ამ პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელის შეძენაც მოასწრეს.

არაფერს უჩივის ქართველი ფორვარდი შალვა აფხაზავა. ის ახლაც გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ამხანაგურ მატჩებში ბლომად გოლებიც გაიტანა. კლუბისა და ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის მზადყოფნით თავად ვიაჩესლავ გროზნიც კმაყოფილია, რომელსაც თურმე საკმაოდ სერიოზული კლუბები იწვევდნენ, თუმც მან სხვაგან წასვლა არ ისურვა.

— როდესაც შალვა აფხაზავა შევიძინეთ, ბევრმა გაკვირვებისგან პირი დააღო. ამ ბიჭზე ხომ უკრაინაში საერთოდ არაფერი იცოდნენ, მაგრამ შალვამ დაამტკიცა, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ. ახლახან ის საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს, რაც ძალიან მახარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი კარგად მოვამზადეთ — განაცხადა ვიაჩესლავ გროზნიმ.

**ქახა ზალამბერიძე**

# ორი ქართველი ჯობია ერთს

## მიქაძემ წააგო, ფოფხაძემ მოიგო

**შარშან** თბილისის „ლოკომოტივის" უეფას თასზე დანიურ „კოპენჰაგენთან" შერცხვენის შემდეგ მომხდარ წმენდაში მცველი ლევან მიქაძეც მოჰყვა. მას შემდეგ ის უგუნდოდ იყო, თუმც სეზონთაშორის პერიოდში უკრაინას მიაშურა და იქაურ კრივოი როგის „კრივბასში" ცდილობს დამკვიდრებას. ლევან მიქაძე ახალ კლუბს კვიპროსზე საწვრთნელ შეკრებაზეც გაჰყვა და ახლახან ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა. როგორც იცით, „კრივბასში" კიდევ ერთი ქართველი, რუსული „კრილია სოვეტოვის" ყოფილი კაპიტანი ზურაბ ფოფხაძეც თამაშობს.

უკრაინელთა მეტოქე „თანამეგობრობის თასის" ჩემპიონი ტირასპოლის „შერიფი" გახლდათ. ვაჟა თარხნიშვილის გუნდმა „კრივბასთან" 1:2 წააგო, თუმც პირველ ტაიმს კი იგებდა.

ლევან მიქაძემაც სწორედ პირველი ორმოცდახუთი წუთი დაჰყო მოედანზე. ფოფხაძე კი მწვრთნელმა შეუცვლელად ათამაშა. შესვენების შემდეგ კრივოიროგელები ასევე გასინჯვაზე მყოფმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, უესლი რიბეირო დე მატოსმა გადაარჩინა. ბრაზილიელმა ორი გოლი გაიტანა „შერიფის" კარში და შეხვედრაც ასე დასრულდა.

უკრაინელები ახალ ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაფორმებას 25 თებერვლიდან 1 მარტამდე აპირებენ და ვინძლო, მათ შორის ლევან მიქაძეც აღმოჩნდეს.

შეგახსენებთ, რომ ლევან მიქაძეს უკრაინაში ადრეც უთამაშია — ორიოდ წლის წინ ის კიევის ცსკა-ს ღირსებას იცავდა.

**ქახა ზალამბერიძე**



ლევან მიქაძეს (მარჯვნივ) უკრაინაში დაბრუნების შანსი გაუჩნდა

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
# ჩვენი მეტოქე



ჰანს-პეტერ ბრიგელი

# გვაცალეთ, ბატონო მუშაობა

## ალბანეთმა გადადებულ-ჩაბნელებულს დაამთხვია

**ალბანეთი**

**მუშაობს ხალხი** — ალბანეთის ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გაშანსა.

— შემდეგ ეტაპზე გასვლა ფანტასტიკის სფეროა. ამ თემაზე საუბარში დროს ტყუილად დავკარგავთ — თქვა ვიეტნამის ახალგაზრდულ ნაკრებთან 5:0 გამარჯვების შემდეგ ალბანეთის ნაკრების გერმანელმა თავკაცმა ჰანს-პეტერ ბრიგელმა.

ევრო 2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქე ბალკანელები 30 აპრილს ამხანაგურად ბულგარელებს გაეჯიბრებიან. ამგვარად, გერმანელმა სპეციალისტმა უკვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და მეტოქეებსაც ემუქრება:

— ფრთხილად იყავით, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. ჩვენთან ქულების მოპოვება ყველას ძვირად დაუჯდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ 30 აპრილსვე საქართველო—რუსეთის გადადებული მატჩიც ჩატარდება თბილისში.

**ქახა ზალამბერიძე**

# იტალია

პაპუნა კადია



ედგარ დავიდსი

## ბერლუსკონი ხალხის ხმას აჰყვა
## გრიპმა დავიდსიც წააქცია

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კომო | - | იუვენტუსი |
| ტორინო | - | მილანი |
| **ხვალ** | | |
| ლაციო | - | ატალანტა |
| მოდენა | - | კიევო |
| ბოლონია | - | ემპოლი |
| პერუჯა | - | პარმა |
| ინტერი | - | პიაჩენცა |
| ბრეშა | - | რეჯინა |
| უდინეზე | - | რომა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 13 | 6 | 2 | 38:15 | 45 |
| ინტერი | 21 | 14 | 3 | 4 | 42:22 | 45 |
| მილანი | 21 | 13 | 4 | 4 | 38:16 | 43 |
| ლაციო | 21 | 10 | 9 | 2 | 37:21 | 39 |
| კიევო | 21 | 11 | 4 | 6 | 31:20 | 37 |
| უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 21:20 | 33 |
| პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 36:26 | 31 |
| პერუჯა | 21 | 8 | 5 | 8 | 26:27 | 29 |
| რომა | 21 | 7 | 7 | 7 | 32:29 | 28 |
| ბოლონია | 21 | 7 | 7 | 7 | 25:25 | 28 |
| ემპოლი | 21 | 6 | 6 | 9 | 25:29 | 24 |
| ბრეშა | 21 | 5 | 9 | 7 | 24:28 | 24 |
| ატალანტა | 21 | 5 | 7 | 9 | 23:32 | 22 |
| რეჯინა | 21 | 6 | 4 | 11 | 22:37 | 22 |
| მოდენა | 21 | 6 | 4 | 11 | 15:30 | 22 |
| პიაჩენცა | 21 | 4 | 4 | 13 | 19:35 | 16 |
| ტორინო | 21 | 2 | 7 | 12 | 13:36 | 13 |
| კომო | 21 | 1 | 9 | 11 | 14:33 | 12 |

**„მილანს"** ტურინში მართალია, „იუვენტუსთან" კი არა, „ტორინოსთან" აქვს სათამაშო, მაგრამ სამი ქულის წამოღება იოლი საქმე მაინც არ იქნება. უკვე გაზაფხულია და თითოეულ ქულას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. ახლა, იქნებ ვინმე წინა ტურში, „ლაციოსთან" ნათამაშევი 2:2-ის გავლენის ქვეშ იყოს მოქცეული, ის მართლაც კარგი სანახაობა გახლდათ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რომაელებთან მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა და „შავ-წითელთათვის" ასე ჩინებული მეორე ნახევრის გარდა იმ თამაშს პირველი, სულ სხვა შინაარსის ნახევარიც ჰქონდა.

„მილანელთა" შემადგენლობაში შესაძლოა სერჟინიო ვიხილოთ. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა მთელი თვე კოჭის მკურნალობაში გაატარა და ახლა ამბობენ, ჯანზეაო. შეიძლება დაბრუნდეს რუი კოშტაც, თუმცა მთავარი ინტრიგა ის იქნება, გაბედავს თუ არა კარლო ანჩელოტი ხალხისა და კლუბის პრეზიდენტის, სილვიო ბერლუსკონის მოთხოვნის შესრულებას და გავა თუ არა მოედანზე ორი თავდამსხმელით, ანდრეი შევჩენკოთი და ფილიპო ინძაგით. გეხსომებათ, „ლაციოსთან" შეხვედრაში „მილანმა" მეორე ტაიმი სწორედ ამ ორი ფორვარდის ერთიბლივი მოქმედების წყალობით მოიგო. დაცვის ცენტრში ბრუნდება დისკვალიფიკაციამოხდილი პაოლო მალდინიც.

„ტორინოს" საქმე კი ასეა: დისკვალიფიკაცია მიიხადეს კრისტიანო ლუკარელიმ და ხოსე მარია ფრანკომ, რაც ტურინელთა თავდასხმის გაძლიერებას ნიშნავს, ხოლო „მიდლსბროდან" გადასული კარლოს ალბერტო მარინელი, ორჯერ, მართალია შეცვლაზე შესულის რანგში, მაგრამ მაინც გამოიცადა და, საერთო აზრით, სასტარტო შემადგენლობაში თამაშს იმსახურებს.

„ინტერს" „პიაჩენცას" დამარცხება სჭირდება, თორემ „იუვენტუსი" ძალიან ნერვების მომშლელადაა წამოსკუპებული ცხრილის სათავეში მათ გვერდით. წინა შაბათს „შავ-ლურჯებმა" „კიევოსთან" 1:2 წააგეს და, თუ გახსოვთ, იმ შეხვედრის პირველ ტაიმში მათ კარში ორი პენალტიც დაინიშნა. ამას დაემატა ოკან ბურუქის გაძევებაც, რის გამოც თურქი ხვალ ვერ ითამაშებს. ლაშავებულები არიან მეორე თურქი ემრე, ფრანჩესკო კოკო და დანიელე ადანი.

სამაგიეროდ, ითამაშებენ გაბრიელ ბატისტუტა, კრისტიან ვიერი და ალვარო ნეკობა. თუმცა... ნუ ვიჩქარებთ. ვაითუ, კუპერმა ვიერი ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან" თამაშის წინ დაასვენოს. მაინც, ძალიან მწარედ წააგეს სამშაბათს „კამპ ნოუზე", ხომ მართალია?

„პიაჩენცას" კი ნოემბრის მერე თამაში არ მოუგო და აი, წინა ტურში იყოჩაღა, „ბოლონიას" აჯობა 3:1. ერთი სიტყვით, ჩანს ახალი მწვრთნელის, ჯიჯი კანის ტაქტიკას მოერგო. დარიო უბნერმაც ნავსი გატეხა, გოლი გაიტანა. მას შეტევაში „იუვენტუსის" საკუთრებანი, დავიდე ბაიოკო და ენცო მარესკა ეხმარებიან.

„იუვენტუსი" რომ ვახსენეთ, კომოში მიდის, მაგრამ ვინ მიდის და ვინ არა, ჯერ გასარკვევია. ხომ გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშის წინ გრიპმა ჯანლუიჯი ბუფონი, მარკო დი ვაიო, ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო ბირინდელი, მარსელო სალასი და მარკ იულიანო რომ ჩაუგდო ლოგინში? ახლა, თუ დგახართ, დაბრძანდით: გუშინ სიცხე ედგარ დავიდსმაც გაიზომა და...

არადა, „ბებერმა ქალბატონმა" წინა ტურში პარმაში, რვა წლის გაუკეთებელი გააკეთა, მოიგო და ცხრილის თავშიც ავიდა.

ამბობენ, რომ კომოში მარჩელო ლიპი ისევ 4-2-3-1 განლაგებას მიმართავს და არ არის გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან" ტურინული შეხვედრის წინ რამდენიმე ფეხბურთელიც დაასვენოს.

თუმცა, „კომოსთან" ფრთხილად, წინა ტურამდე ხუთი თამაშით არ წაეგო, ერთი კვირის წინ კი რეჯო კალაბრიაში, მართალია დაწინაურდა, მაგრამ მერე 1:4 დამარცხდა.

ცნობისთვის: დღეს კომოელი ნიკოლა ამორუზო და ფაბიო პეკია ადრე „იუვენტუსში" თამაშობდნენ.

„ლაციო" კი შინ ისე ვერ ყოჩაღობს, როგორც სტუმრად. არა, ცხადია, ჩინებული გუნდია, მაგრამ კიდევ ერთი უცნაური ზნე სჭირს — ძლიერ მეტოქეებთან ძლიერია, სუსტებთან კი რაღაც ემართება.

დეიან სტანკოვიჩის ამბავი „ატალანტასთან" შეხვედრის წინ საეჭვოა, კოჭი სტკივა. ასე რომ, მის ნაცვლად ალბათ, ფაბიო ლივერანის ვიხილავთ.

„ატალანტასთვის" კი გავარდნის საშიშროება რეალურია. ამიტომ იომებს. თან, ახლა ისე საბაგლად აღარ თამაშობს, ადრე რომ თამაშობდა. კრისტიანო დონიმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიხადა, თუმცა ინაჩიო პია და ჯანი კომანდინი კვლავ არ იქნებიან.

# ინგლისი

ირაკლი ჩინიძე

## დაპირდი და შეასრულე
## ჯონათან ვუდგეიტს ძმაკაცები დაუმალეს

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | — | მანჩესტერი |
| ჩარლტონი | — | ასტონ ვილა |
| ჩელსი | — | ბლექბერნი |
| ევერტონი | — | საუთჰემპტონი |
| ლიდსი | — | ნიუკასლი |
| მანჩესტერ სიტი | — | არსენალი |
| სანდერლენდი | — | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ბირმინგემი | — | ლივერპული |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ვესტ ჰემი |
| **ზეგ** | | |
| ტოტენჰემი | — | ფულემი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 27 | 17 | 6 | 4 | 57:29 | 57 |
| მანჩესტერი | 27 | 16 | 6 | 5 | 44:25 | 54 |
| ნიუკასლი | 26 | 15 | 4 | 7 | 42:32 | 49 |
| ჩელსი | 27 | 13 | 9 | 5 | 48:27 | 48 |
| ევერტონი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:32 | 45 |
| ლივერპული | 27 | 11 | 10 | 6 | 38:26 | 43 |
| ტოტენჰემი | 27 | 12 | 6 | 9 | 40:37 | 42 |
| ჩარლტონი | 27 | 12 | 6 | 9 | 36:34 | 42 |
| საუთჰემპტონი | 27 | 10 | 9 | 8 | 28:26 | 39 |
| სიტი | 27 | 11 | 5 | 11 | 38:38 | 38 |
| ბლექბერნი | 27 | 9 | 10 | 8 | 32:31 | 37 |
| ასტონ ვილა | 27 | 10 | 5 | 12 | 31:29 | 35 |
| ლიდსი | 27 | 10 | 4 | 13 | 34:34 | 34 |
| ფულემი | 27 | 9 | 6 | 12 | 31:34 | 33 |
| მიდლსბრო | 26 | 8 | 7 | 11 | 30:30 | 31 |
| ბირმინგემი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:39 | 26 |
| ბოლტონი | 27 | 5 | 10 | 12 | 29:44 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 5 | 6 | 16 | 20:41 | 21 |
| ვესტ ჰემი | 27 | 4 | 8 | 15 | 28:52 | 20 |
| სანდერლენდი | 27 | 4 | 7 | 16 | 18:42 | 19 |

**„არსენალმა"**, „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ნიუკასლმა" — პრემიერლიგაში დაწინაურებულმა გუნდებმა — წინა კვირა ასოციაციის თასსა და ჩემპიონთა ლიგას დაუთმეს და ამ უქმეებზე ჩემპიონატს მიხედავენ. კალენდარი კი იმგვარადაა შედგენილი, რომ სამივე სტუმრად თამაშობს: „არსენალი" მანჩესტერში ჩადის, ოღონდ არა „იუნაიტედთან", არამედ „სიტისთან" სათამაშოდ, „იუნაიტედი" „ბოლტონს" სტუმრობს, რომელთანაც პირველ წრეში შინ დამარცხდა, „ნიუკასლს" კი ლიდსში აქვს გასვლა.

ეჰ, რას არ გაიღებდა სემი ალარდაისის „ბოლტონი" სექტემბერში „ოლდ ტრეფორდზე" ჩადენილი გმირობის გასამეორებლად. სხვა რომ არაფერი, „ბოლტონს" ჰაერივით სჭირდება ქულები, თორემ ვინ იცის, ეგებ მომდევნო სეზონში პირველ დივიზიონში ამოჰყოს თავი. მასპინძელთა იმედი კი „მანჩესტერის" გადაღლას უკავშირდება. მოსალოდნელია, რომ ბუცისროლია ალექს ფერგიუსონი, „არსენალთან" და „იუვენტუსთან" მატჩების შემდეგ, ძირითადი შემადგენლობის ზოგიერთ ფეხბურთელს დაასვენებს.

ფერგიუსონის მსგავსად ზოგიერთებს დასვენებას უპირებს არსენ ვენგერიც, რადგან „მანჩესტერთან" სათასო მატჩის შემდეგ „არსენალს" დიდი ომი გადახდა „აიაქსთან". დევიდ სიმენს კი ტრავმის გამო სჭირდება დასვენება და მის ნაცვლად ლონდონელთა კარს სტიუარტ ტეილორი დაიცავს. „სიტის" ბოლო თამაში კი უკვე მერამდენედ ნახსენებ „იუნაიტედთან", მანჩესტერულ დერბიში გახერხებული ფრე იყო.

თუ გაინტერესებთ, „ნიუკასლის" ახალწვეულსი, ჯონათან ვუდგეიტის მის ყოფილ კლუბთან თამაშის ნახვა, არ გამოგივათ, რადგან კონტრაქტის გაფორმებისას „ლიდსმა" ასეთ პირობა წამოაყენა: ვუდგეიტმა „ლიდსის" წინააღმდეგ არ უნდა ითამაშოსო. პირობას კი, მოგეხსენებათ, შესრულება უნდა და სერ ბობი რობსონი აზიელთა მოძალე მცველს სახლში ტოვებს. საერთოდ კი „ნიუკასლი" კარგ ხასიათზეა, რაკი „ლევერკუზენის" ძლევის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაღწევის არცთუ ურიგო შანსი გაუჩნდა. ამასთანავე, სალიგოდ დისკვალიფიცირებულები, ალან შირერი და კრეიგ ბელამი დასვენებულები ჰყავს.

„ლიდსს" არ ეყოლება დომენიკ მატეო და ერიკ ბაკე, რომელთაც ტრავმები სტანჯავთ, სამაგიეროდ, მარკ ვიდუკამ დისკვალიფიკაცია მოიხადა. ჰო, „ლიდსი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც ამ სეზონში „ნიუკასლის" მის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" დამარცხება შეძლო.

სტუმრად თამაშობს ერთ დროს ლიდერი „ლივერპულიც". მისი მეტოქე „ბირმინგემია", დაბლა მფრენი გუნდი წლეულს ერთი თამაშიც რომ ვერ მოუგია. ბირმინგემელთა მენეჯერი სტივ ბრუსი უხეიროდ თამაშს ტრავმების მოძალებას აბრალებს, თუმცა საამმატჩოდ ლაზარეთიდან ერთი ფეხბურთელი დაუბრუნდა — ნახევარმცველი ალიუ სისე, ვისაც აქამდე ერთი თვე გაუცდა.

ჯანფრანკო ძოლამ, ჯოდი მორისმა და სელესტინ ბაბაიარომ წინა უქმეებზე „ჩელსის" „სტოკთან" სათასო მატჩი გამოტოვეს და ახლა „ბლექბერნს" აღდგენილი ენერგიით დაუხვდებიან. ეს თამაში ძოლასთვის საიუბილეოა — ბებერი იტალიელი მესამასედ ითამაშებს „ჩელსის" მაისურით.

ლონდონელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ემანუელ პეტი, ხოლო ბლექბერნელმა დევიდ ტომპსონმა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა.

ზედიზედ ოთხმა მოგებამ „ჩარლტონ ატლეტიკი" მე-8 ადგილამდე ალაზევა, აქედან კი უეფას თასზე გამსვლელ პოზიციამდე ერთი ხელის გაწვდენაა. „ასტონ ვილა" ის გუნდი არ არის, რომლის დამარცხებაც ძალიან ძნელია, მაგრამ ჩარლტონელებს მცველები, მარკ ფიში და პოლ კონჩესკი დისკვალიფიცირებულნი ჰყავთ და ეს მცირეოდენ პრობლემას შეუქმნით. მასპინძელთა ბანაკში კარგი ამბავი ისაა, რომ ლეკ იანგმა ტრავმა მოიშუშა და მოედანს უბრუნდება. „ასტონ ვილამ" ამ სეზონში მხოლოდ ერთი თამაში მოიგო სტუმრად — ესეც კიდევ ერთი მიზეზი „ჩარლტონის" გამარჯვების მოლოდინისა.

„სანდერლენდმა" წინა უქმეებზე ასოციაციის თასზე 0:1 წააგო დაბალდივიზიონელ „უოტფორდთან", პრემიერლიგაშიც ბოლო ადგილზეა და სამშვიდობო ზონასთან ექვსი ქულა აშორებს. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მისი მენეჯერი ჰოვარდ უილკინსონი ნიჩაბზე ზის და ყოველ წუთს გადაგდებას ელოდება. ეგებ „მიდლსბროსთან" ჩრდილო-აღმოსავლური დაპირისპირება ბოლო შანსიც აღმოჩნდეს მენეჯერისთვის. „მიდლსბრომ" ამ სეზონში ერთადერთხელ მოიგო სტუმრად და მეორე გამარჯვება „სანდერლენდისთვის" დამღუპველი იქნება.



ჯანფრანკო ძოლა „ჩელსისთვის" მოედანზე მესამასედ გავა

# გერმანია

დავით თავართქილაძე



პირველი წრის მატჩში პირველი გოლი შალკელმა ვიქტორ აგალიმ გაიტანა, მაგრამ დორტმუნდელებმა გათანაბრება შესძლეს

# აუფ!

## ინებეთ ვესტფალიური იოგურთი გელზენკირხენულად

**გასულ უქმეებზე** თუ მიუნხენური დერბი იყო, ახლა ვესტფალიას ჯერია — გელზენკირხენში „შალკე“ ჩემპიონ „დორტმუნდს“ დაუხვდება.

გერმანიის ყველაზე თანამედროვე სარბიელ „აუფშალკეზე“ ძვალთამტვრევა უნდა იყოს — რურის ოლქის გუნდებმა სხვანაირად არ იციან.

„ხუმარებსაც“ და ზამერელებსაც ყველანი ჯანზე ჰყავთ. რაც შეეხება დერბის სტატისტიკას, ბოლო ათ მატჩში, უპირატესობა გელზენკირხენელებს აქვთ — სამი მოგება, ხუთი ფრე და ორი წაგება. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „დორტმუნდმა“ — ოთხშაბათს მადრიდში „რეალთან“ იჯახირა — 1:2.

ლიდერი „ბაიერნი“ ყოფილი ბაიერნელის კლაუს აუგენტალერის „ნიურნბერგს“ მასპინძლობს და ცხადია, ფავორიტიცაა. მიუნხენელებს პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი არ ეყოლებათ, რომელსაც მუხლის მყესები დაუზიანებია.

ნაქები ფელიქს მაგათის „შტუტგარტი“ ბოლო ორ შეხვედრაში დამარცხდა — ჯერ გელზენკირხენში, მერე უეფას თასზე გლაზგოში „სელტიკთან“. ახლა მაგათმა უნდა დაამტკიცოს, რომ მაინც მაგათია — საამისოდ არგავარდნისთვის მებრძოლი „გლადბახი“ უნდა გაბღლვნას.

„მიონხენგლადბახს“ კვლავაც მოაკლდებიან ჰოლანდიელი თავდამსხმელები — იორის ვან ჰოუტი და პეტერ ვან ჰოუდტი — მათ ტრავმები სტანჯავთ.

წინა უქმეებზე ამბიციური „ვერდერი“ „ნიურნბერგთან“ დამარცხდა 0:1 და ახლა ერთი სული აქვს ჯავრი „კოტბუსზე“ იყაროს. „მუსიკოსთა“ დირიჟორი თომას შააფი იმედოვნებს, რომ ბერძენი ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი მაინც ითამაშებს თეძოს კუნთის ტკივილის მიუხედავად. მაგრამ ისიცაა, რომ კოტბუსელები ბოლო დროს იშტაზე არიან.

მონდომება არ დაეწუნება ბოლოადგილისან „კაიზერსლაუტერნსაც“ — ერიკ გერეტსის გუნდის ჯერაც უმნიშვნელო პროგრესი სახეზეა. კლუბის ახალი თავმჯდომარე რენე იაგი კი გაქნილი კაცი აღმოჩნდა — „კაიზერსლაუტერნს“ ვალებიდან რამდენიმე მილიონი უკვე ჩამოაჭრა და იქადნება, კოლაფსს თავს დავაღწევთო. ლაუტერნელებს ისიც უნდა ახარებდეთ, რომ შემტევი ტიპის ნახევარმცველი კრისტიან ტიმი მოედანზე გასასვლელად უკვე მზად არის — ეს 23 წლის ფეხბურთელი „კაიზერსლაუტერნმა“ „კიოლნიდან“ გადაიბირა სამსეზონოდ, მაგრამ ტიმმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და გუნდს ნახევარი სეზონის მერე თუ დაეხმარება. „ჰამბურგი“ კი „ლაუტერნისთვის“ მართლაც ძნელად წასაქცევი გუნდია.

მიუნხენურ დერბიში დალილავებული „1860“ ფოლკსვაგენეთში სტუმრობს. „ვოლფსბურგს“ არ ეყოლება ჯეელი ნახევარმცველი ტობიას რაუ, რომელსაც 12 თებერვალს დებიუტი ჰქონდა ბუნდესნაკრებში ესპანეთის წინააღმდეგ — რაუს მუხლი სტკივა.

დედაქალაქური „ჰერტა“ ბრაზილიელი ალექს ალვეშისგან კვლავაც გოლებს ელის — ალვეშმა ბოლო ორ მატჩში ოთხჯერ გაიტანა. ბილეფელდის „არმინია“ კი ხორვატ შემტევს მოისაკლისებს — ილია არაჩიჩი შეუძლოდაა.

დანაკლისია როსტოკის „ჰანზაშიც“ — გუნდის მოტორი რუნე რიდლევიჩი ტრავმირებულია, შვედი შემტევი რადე პრიცა დისკვალიფიცირებული.

ვერც აღმოსავლეთგერმანელთა მეტოქე „ბოხუმია“ არხეინად — ვეტერანი დარიუს ვოში და ჯეელი მარჯვენაფლანგელი პაულ ფრაიერი დისკვალიფიცირებულნი არიან.

ბერჩავ „ლევერკუზენზეც“ სათქმელია — მცველები ლუსიო, იენს ნოვოტნი და ჟუანი რომ ჯანზე ვერ არიან, ძველი ამბავია. ამას ილდირაი ბაშთურქის არყოფნაც ემატება — სადისკვალიფიკაციო სასჯელი თურქ გამთამაშებელს ჯერაც არ მოუხდია.

ლევერკუზენელთა მასპინძელმა „ჰანოვერმა“ ზამთრის შესვენების შემდეგ კარგად კი დაიწყო თამაში, მაგრამ წინა ტურში „კოტბუსმა“ გვემა 3:0 და გაგულისებულია.

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვერდერი | — | კოტბუსი |
| ბაიერნი | — | ნიურნბერგი |
| ვოლფსბურგი | — | მიუნხენ 1860 |
| ლაუტერნი | — | ჰამბურგი |
| ჰანზა | — | ბოხუმი |
| ჰანოვერი | — | ლევერკუზენი |
| შალკე | — | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | — | არმინია |
| შტუტგარტი | — | გლადბახი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 21 | 14 | 5 | 2 | 45:15 | 47 |
| დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 35:17 | 39 |
| შტუტგარტი | 21 | 10 | 6 | 5 | 33:26 | 36 |
| შალკე | 21 | 9 | 8 | 4 | 29:21 | 35 |
| ვერდერი | 21 | 10 | 4 | 7 | 37:33 | 34 |
| ჰამბურგი | 21 | 9 | 6 | 6 | 27:26 | 33 |
| ჰერტა | 21 | 9 | 5 | 7 | 28:25 | 32 |
| მიუნხენი | 21 | 9 | 4 | 8 | 31:32 | 31 |
| ბოხუმი | 21 | 8 | 5 | 8 | 37:36 | 29 |
| ჰანზა | 21 | 7 | 6 | 8 | 24:25 | 27 |
| ვოლფსბურგი | 21 | 8 | 2 | 11 | 23:28 | 26 |
| არმინია | 21 | 6 | 7 | 8 | 24:29 | 25 |
| ნიურნბერგი | 21 | 7 | 3 | 11 | 27:34 | 24 |
| ჰანოვერი | 21 | 6 | 5 | 10 | 29:40 | 23 |
| გლადბახი | 21 | 6 | 4 | 11 | 22:26 | 22 |
| ლევერკუზენი | 21 | 5 | 5 | 11 | 26:36 | 20 |
| კოტბუსი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:39 | 20 |
| ლაუტერნი | 21 | 4 | 6 | 11 | 23:33 | 18 |

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

## სოსიედადი, რეალი, ეგებ ვიღაც სხვა...

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | — | ბეტისი |
| რეალი | — | ვალიადოლიდი |
| დეპორტივო | — | ალავესი |
| **ხვალ** | | |
| რაიო ვალეკანო | — | ვალენსია |
| მალაგა | — | სელტა |
| უელვა | — | ატლეტიკო |
| მალიორკა | — | ბილბაო |
| სევილია | — | ესპანიოლი |
| სოსიედადი | — | ოსასუნა |
| ვილიარეალი | — | რასინგი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 22 | 12 | 8 | 2 | 38:27 | 44 |
| რეალი | 22 | 11 | 9 | 2 | 46:23 | 42 |
| ვალენსია | 22 | 12 | 6 | 4 | 36:17 | 42 |
| დეპორტივო | 22 | 11 | 6 | 5 | 31:25 | 39 |
| სელტა | 22 | 11 | 3 | 8 | 28:20 | 36 |
| ბეტისი | 22 | 10 | 6 | 6 | 34:29 | 36 |
| ატლეტიკო | 22 | 8 | 8 | 6 | 35:28 | 32 |
| ბილბაო | 22 | 8 | 5 | 9 | 34:37 | 29 |
| ვილიარეალი | 22 | 7 | 7 | 8 | 21:23 | 28 |
| ალავესი | 22 | 7 | 7 | 8 | 27:33 | 28 |
| ბარსელონა | 22 | 7 | 6 | 9 | 31:30 | 27 |
| მალაგა | 22 | 6 | 9 | 7 | 28:28 | 27 |
| ოსასუნა | 22 | 7 | 6 | 9 | 24:27 | 27 |
| ვალიადოლიდი | 22 | 8 | 3 | 11 | 21:25 | 27 |
| მალიორკა | 22 | 8 | 3 | 11 | 25:37 | 27 |
| სევილია | 22 | 6 | 8 | 8 | 17:18 | 26 |
| რასინგი | 22 | 8 | 2 | 12 | 26:29 | 26 |
| ესპანიოლი | 22 | 6 | 4 | 12 | 24:33 | 22 |
| რაიო | 22 | 6 | 4 | 12 | 22:32 | 22 |
| უელვა | 22 | 3 | 6 | 13 | 18:45 | 15 |

**წინა ტურში** „რეალმა“ ჩინებული შანსი დაკარგა ლიდერად ქცევისა და ამჯერად რა გამოუვა, დაველოდოთ და ვნახავთ. მოგეხსენებათ, „რეალმა“ და „სოსიედადმა“ წინა უქმეებზე სეზონში მეორე მარცხი იწვნიეს და ყველაფერი ძველებურად დატოვეს. „რეალი“ „ოსასუნასთან“ დამარცხდა, „სოსიედადი“ „ბეტისთან“.

„რეალი“ „ვალიადოლს“ ხვდება, არცთუ კარგ გუნდს, მაგრამ საქმეს ის ურთულებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მძიმე ბრძოლა გადახდა და მომდევნო კვირაშიც არანაკლები ელის. ერთი სიტყვით, ორ ფრონტზეა გაჭრილი და ფიქრობენ, რომ ვისენტე დელ ბოსკე სავალიადოლიდოდ უძლიერეს შემადგენლობას არ ათამაშებს. დასვენების უმთავრესი კანდიდატი ზინედინ ზიდანია, რომელიც „დორტმუნდთან“ შეცვალეს და კოჭლობით გავიდა მოედნიდან. სასტარტო შემადგენლობაში ვინძლო არც კლოდ მაკელელე იყოს, ხოლო ლუიშ ფიგუ რომ ვერ ითამაშებს, ცხადი ამბავია — პორტუგალიელმა „ოსასუნასთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო.

„ვალიადოლიდი“ კი ნელ-ნელა დაბლა ეშვება და ახლა მე-14 ადგილზეა გაჩერებული. მართალია, ვალიადოლიდელები შარშან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფრეს გამორჩნენ, მაგრამ ის ამბავი დღეს ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს.

„ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგაში სარეკორდო სვლაზე სიტყვას ნუ შევაჩერებთ და ის ვთქვათ, რომ ხუან პაბლო სორინს მცირე ტრავმა აწუხებს, თუმცა მისი მოედანზე გასვლა გამორიცხული არ არის. „ბარსას“ მეტოქე „ბეტისია“ და ერთი საეჭვოდ დაშავებული ფეხბურთელი მასაც ჰყავს — საჯარიმო დარტყმის ბრაზილიელი ოსტატი მარკუს ასუნსაო.

„რეალის“ დამარცხებით გულმოცემული „ოსასუნა“ მეორე წრეში უხეირო თამაშით გულჩაკლულ „სოსიედადს“ სტუმრობს. ბასკებს, ცხადია, ესმით, რომ მღევარი მუდმივად არ წააგებს და თავადაც თუ არ გაიხსენა გამარჯვების გემო, პირველი საფეხურიდან ჩამობრძანება მოუწევს.

„სოსიედადმა“ ბოლო სამ ტურში ოდენ ერთი ქულა მიითვალა და ხვალინდელი მატჩისთვის ხავი დე პედროს ამზადებს — ნაკრების გარემარბმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ისიც შეიძლება მოხდეს, რომ კვირას ღამით პრიმერადივიზიონის ცხრილის სათავეში არც „სოსიედადი“ იყოს და არც „რეალი“ — სვლააკრეფილი „ვალენსია“ წინმსწრებთა წაფორხილების მოლოდინშია. ჩემპიონმა ბოლო ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგო, ერთიც ფრედ ითამაშა და ამ ტურში წყალწაღებულ „რაიო ვალეკანოს“ ხვდება. მაგრამ დახეთ, „რაიომ“ ამ სეზონში თავისი საუკეთესო მატჩები სწორედ ბობოლა გუნდებთან ჩაატარა, რის გამოც ვალენსიელები ფრთხილად უნდა იყვნენ.

„ვალენსიას“ ფრე რომ ვახსენეთ, ბოლოადგილოსან „უელვასთან“ ითამაშა, მაგრამ ეს ფაქტი აუტსაიდერის მოლონიერებაზე სულაც არ მიგვანიშნებს. საქმე ის გახლავთ, რომ „უეფას“ ტრავმის გამო ერთბაშად ოთხი მცველი გამოაკლდა. ჰოდა, ჯერ ამათი საბრძოლო შემადგენლობა რა არის და ამდენი კაცის დაკარგვის მერე რა იქნება. ერთი სიტყვით, „უელვას“ მწვრთნელი ლუკას ალკარასი ფრიად შეფიქრიანებული ხვდება საევროთასო ადგილის მაძიებელ „ატლეტიკოს“.

„ესპანიოლი“, მოგეხსენებათ, გადარჩენისთვის იბრძვის და ხვალ სევილიაში თუ დამარცხდა, უფსკრულში კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლობა. მაგრამ თუ მოიგო, ერთი ნაბიჯიღა დარჩება სამშვიდობოს გასასვლელად. წინა ტურში „ესპანიოლი“ ბარსელონურ დერბიში დამარცხდა, რაც პირველი საშინაო მარცხი იყო გუნდში ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ. მაგრამ ის განახლებული „ბარსელონა“ იყო, „ესპანიოლსაც“ მთავარმცველე რაულ ტამუდო არ ჰყავდა მთლად ჯანზე. ახლა კატალონიელთა მეტოქე მისებრ გაჭირვებული „სევილიაა“ და ტამუდოც კარგ ფორმაშია.

„ვილიარეალი“ დაშავებული ხულიო ბელეტის გარეშე დაუხვდება წამოჩიტულ „რასინგს“. როგორც ჩანს, სანტანდერელთა პრეზიდენტმა დმიტრი პიტერმანმა მწვრთნელობას ალლო აუღო, რისი დასტურიც ბოლო ორი თამაშის მოგებაა.

საპირისპიროდ აქვთ საქმე „მალიორკას“ და „ბილბაოს“. ბასკები ბოლო ოთხ მატჩში დაუმარცხებელნი არიან, „მალიორკამ“ კი ზედიზედ ოთხი თამაში წააგო. უცნაური კი გახლავთ — ბალეარელები სამი ტურის მერე ნული ქულით ბოლო ადგილზე იყვნენ, მერე ზედიზედ შვიდი თამაში მოიგეს და მეორე ადგილს უწიეს, მას მერე კი თორმეტ ტურში მხოლოდ ერთხელ მოიგეს.




ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, დაასვენონ

# რომის პაპი რომის წინააღმდეგ

## იოანე პავლემ არქიეპისკოპოსობა გაიხსენა



REUTERS რომიდან

ლაციო — ვისლა. მაცეი ჟურავსკიმ ლუკა მარკეჯანის ორი პენალტი გაუტანა

**„სელტიკ პარკზე"** მასპინძლებმა ჩვეული, ჯიგრიანი ფეხბურთი ითამაშეს და ქომაგებს ფრიად ასიამოვნეს. მარტინ ონილს ერთბაშად ოთხი ლეგიონერის არყოფნა გულს კი უღრღნიდა, მაგრამ ყმაწვილმა შონ მელოუნმა მწვრთნელს დანაკლისი არ აგრძნობინა. მელოუნი 20 წლისა 24 იანვარს გახდა, თუმცა მოედანზე დაღვინებული კაცივით გაისარჯა და გერმანელთა გამტეხი გოლიც შეაგდო.

„სელტიკის" შვიდები: მეკარე მარკუს ჰელმანი, მეგოლი ჰენრიკ ლარსონი და მცველი იოჰან მიალბი ტრავმირებულნი იყვნენ, უცლისელ ჯონ ჰარტსონს კი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გაუცდა.

ბულგარელ სტილიან პეტროვს მოუსვენრობა მალევე დაუფასდა. „შტუტგარტის" მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყო, სტუმართა ბრაზილიელმა მცველმა ბორდონმა რომ დასცა. პიერლუიჯი კოლინამ ბრაზილიელს მოედანი ნაადრევად დაატოვებინა, თუმცა გერმანელებმა კაცნაკლულობა თავიდან არ შეიმჩნიეს. „შტუტგარტის" უპირველესმა მეგოლემ კევინ კურანიმ კრასიმირ ბალაკოვისგან ნაბოძები პასით ტაიმის შუაწელში ანგარიში გახსნა. სწრაფი გოლით გახარებულმა ფელიქს მაგათიმ ბერძენი თავდამსხმელის, ამანატიდისის ნაცვლად მცველი დანგელმაიერი შეუშვა და გუნდს დაავალა, კარის უსაფრთხოებაზე ეზრუნა.

საჯარიმოსთან ატუზული შტუტგარტელები მალე დასაჯეს. პეტროვმა ლამბერტს დაუგდო ბურთი და მის დარტყმულს ჰილდებრანდი ვერ შესწვდა — 1:1. შესვენებამდე წუთით ადრე შონ მელოუნმა „სელტიკი" დააწინაურა, მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა ჰილდებრანდის კართან შექმნილი უამრავი მომენტიდან ერთი გამოიყენეს. სტილიან პეტროვმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა, როცა წინ გამოსული მეკარე დალანდა.

„ჯერ აგებდი, მერე კი ორი ბურთის სხვაობით მოიგო, ეს ბრწყინვალე შედეგია" — თქვა მარტინ ონილმა მატჩის შემდეგ. ფელიქს მაგათიც არ იყო მთლად გალდაწყვეტილი: „რთული მატჩი გველის შტუტგარტში, მაგრამ მჯერა, რომ მეოთხედფინალში გასვლის ძალა და უნარი შეგვწევს".

ბერლინში „ჰერტამ" გრემ ბარბერის მიერ დამატებულ დროში „ბოავიშტას" ფრე მარცხად უქცია. მასპინძლები მალევე შეუდგნენ საქმეს. უკვე მეთხუთმეტე წუთზე უბერებელმა პრეეცმა ალექს ალვეშს დაუგდო ბურთი და ბრაზილიელმა რიკარდუს გაუტანა. ამის შემდეგ თვითონ პრეეცსაც მართებდა გატანა, მაგრამ სულ აცილა კარს. არეულმა პორტუგალიელებმა ნელ-ნელა ააწყვეს თამაში და საპასუხო გოლი გამოჩარხეს. გაბორ კირალიმ პედროსას დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ წუთის შემდეგ რუი ოსკარის დაკრულს ვეღარ შესწვდა.

ტაიმის დასრულებამდე ისევ ალექს ალვეშმა იყოჩაღა, როცა თანამემამულე მარსელინიოს გრძელი პასი შეირგო და „ჰერტა" კვლავ დააწინაურა.

მეორე ნახევარი ბერლინელთა იერიშებით დაიწყო. მარსელინიომ პრეეცი მეკარესთან პირისპირ დატოვა, თუმცა ბებერმა მეორე მომენტიც გააცუდა. სტუმრებმა შეძლეს თამაშის გათანაბრება და გაბორ კირალის საქმე გაუჩინეს. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე პედროსამ საჯარიმო დარტყმა შეასრულა. ცოცხალი კედლიდან ასხლეტილი ბურთი ალეშანდრე გულარს მიუცუცქდა და მანაც საჩუქარი შეირგო — 2:2. „ბოავიშტამ" ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ჰუუბ სტევენსი მისმა თანამემამულე მცველმა დიკ ვან ბურიკმა გვიანი, გამარჯვების მომტანი გოლით გაახარა.

პორტუგალიელთა მწვრთნელმა ჟაიმე პაშეკუმ ბრძანა: „სამი ბურთი რომ გავუშვით, საწყენია, მაგრამ სტუმრად გატანილი ორი გოლიც ბევრს ნიშნავს. ვფიქრობ, კარგი შანსი გვაქვს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად".

ჰუუბ სტევენსი აშკარად უკმაყოფილო იყო: „მართალი გითხრათ, ვან ბურიკის გოლმა კი გამახარა, მაგრამ თუ პორტუშიც ასე თამაშს აპირებენ ჩემი ფეხბურთელები, ჯობს, საერთოდ არ წავიდეთ პორტუგალიაში".

ლეიან სტანკოვიჩი ტყუილად არ უფრთხოდა მატჩამდე „ვისლას". იუგოსლაველი შეცვლაზე რომ შევიდა, „ლაციო" „ვისლასთან" იმ მომენტისთვის აგებდა.



REUTERS გლაზგოდან

ყბამოტეხილმა ჰენრიკ ლარსონმა „სელტიკს" უხმოდ უქომაგა

პოლონელებმა ღოჯები გამოაჩინეს, თან საკმაოდ ალესილი და სახიფათო ნებისმიერი მეტოქისთვის. მათი მწვრთნელი გაოცებას ვერ ფარავდა: „ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ გუნდს რომ კარგი ფეხბურთის თამაში ძალუძს, ყოველთვის მწამდა. ახლა ჩვენი ბედი კრაკოვში გადაწყდება. ცოტა დაბნეულიც კი ვარ, რადგან მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო".

მეტიო, თქვა კასპერჩაკმა და მართალიცაა. რომაელთაგან გოლები ნიკოლა ლაზეტიჩმა და ენრიკო კიეზამ შეყარეს, დანარჩენი ოთხი კი „ვისლას" ანგარიშზეა, სამი „ლაციოს", ერთიც საკუთარ კარში. რამდენიმე ასპროცენტიანი საგოლე პოლონელებმა ნამდვილად გააფუჭეს, თორემ ამ წყვილის ბედი ეგებ რომშივე გარკვეულიყო.

ანგარიში მატჩში ნიკოლა ლაზეტიჩმა გახსნა. მისი დარტყმული მცველის ფეხისგან ასხლეტით „ვისლას" კარში აღმოჩნდა. სტუმრებმა მალე გაათანაბრეს. კოსოვსკი-კანტორო-უჩეს კომბინაცია ნიგერიელის გოლით დასრულდა, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე მასპინძელთა ფლანგური შეტევისას, კიეზას ჩაწოდებული ახლო ძელთან მარიუშ ჟოპმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

შესვენების შემდეგ პოლონურმა გუნდმა ტემპს მოუმატა და რომაელები ზედიზედ ორჯერ შეცდნენ დაცვაში. უწყინარ ვითარებაში ფერნანდო კოუტუმ ჟურავსკის ჩააბარა ბურთი, რომელიც მარკეჯანიმ წააქცია და დაზარალებულმა თერთმეტმეტრიანი თავად შეასრულა — 2:2. ცოტა ხანში ისევ ჟურავსკი და მარკეჯანი შეიყარნენ, რასაც მეორე პენალტი და „ვისლას" მესამე გოლი მოჰყვა. მარცხისგან „ლაციო" ენრიკო კიეზამ იხსნა. სტუმართა მცველი ხელოვნური თამაშგარის შექმნისას ჩარჩა, რითაც ლოპესმა ისარგებლა და კიეზას საგოლე პასი მიაწოდა, მანამდე კი კოსოვსკის სულ ცოტა, ორჯერ შეეძლო გატანა.

რობერტო მანჩინი: „დაცვას მეტი ყურადღება მართებს. კრაკოვში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ მოსაგებად ვიბრძოლებთ.

არ ვიცი, რამდენად, მაგრამ ეტყობა, „ვისლაზე" რომის პაპის ლოცვამ იმოქმედა. თვითონ პოლონელმა იოანე პავლე II მატჩამდე თანამემამულეები დალოცა. პაპი თავის დროზე კრაკოვის არქიეპისკოპოსი იყო.

ოსერში ორი ფრანგის დუელი ჟერარ ულიეს გამარჯვებით დასრულდა. მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში თამაში გამოცოცხლდა. ჯერ ემილ ჰესკიმ გააცუდა დარტყმა თორმეტიოდ მეტრიდან, მერე კი მასპინძელთა კაპიტანმა იან ლაშუერმა დუდეკის რეაქცია შეამოწმა. ოსერელთაგან განსაკუთრებით ჰალილუ ფადიგა ყოჩაღობდა. ჭრელაჭრულა ფინტებით დასეირნობდა „ლივერპულის" დაცვაში, მაგრამ საბოლოო პასისას ულმობლად სცოდავდა.

„ლივერპულმა" „ოსერის" ღლაბუცს უყურა, ფრანგთა შეტევები შეიწოვა და მძლავრად ათამაშდა, დენი მერფიმ ორჯერ სახიფათოდ გაისროლა ფაბიენ კოლის კარისკენ, მოგვიანებით კი ელ ჰაჯი დიუფის წამოწყებული კომბინაცია გააგრძელა და სემი ჰიიპიას საჯარიმოში ბურთი მიჰგვარა. ფინელმა მცველმა მეტოქეებთან ჭიდილში მაინც შეძლო საგოლედ დარტყმა.

თურქული „შავი არწივი" „ბეშიქთაში" პრაღაში დამარცხდა. „ბეშიქთაშს" ზედიზედ 28 მატჩში არ წაეგო და „სლავიამ" ნისკარტი მოამტვრია. ერთადერთი გოლი ტომაშ დოშეკმა მეორე ტაიმში შეაგდო, უფრო სწორად ოსკარ კორდობას ბურთი თავზე გადაავლო.

მეორე თურქული გუნდი „დენიზლისფორი" „პორტუმ" პირველ ტაიმში გემრიელ ლუკმასავით შემოინახა, შესვენების შემდეგ კი დააცხრა და ისეთი გოლებით ამოუვსო კარი, ნებისმიერი გემოვნების ქომაგს რომ დააკმაყოფილებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## უეფას თასი 2002-2003

UEFA CUP მერვედფინალი. პირველი მატჩები UEFA CUP

**ჰერტა** (გერმანია) 3:2 **ბოავიშტა** (პორტუგალია)

1:0 ალვეში (15), 1:1 რუი ოსკარი (37), 2:1 ალვეში (43), 2:2 ალეშანდრე (80), 3:2 ვან ბურიკი (90)
**ჰერტა:** კირალი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი (მადლუნგი 46), მარქსი, დარდაი, მარსელინიო, გოორი (რ. პინტუ 81), ალვეში (ლუიზაო 78), პრეეცი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
**ბოავიშტა:** რიკარდუ, რუი ოსკარი, მარტელინიუ (ბოსინგვა 88), პაულუ ტურა, ე. ლიმა (ალეშანდრე 73), ედერი, პედრუ სანტუში, ავალოსი, ფილიპე, პედროსა, ელპიდიუ სილვა (სემედუ 46)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: ედერი, ალვეში, მარქსი, რუი ოსკარი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
14 000 მაყურებელი

**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 3:0 **ანდერლეხტი** (ბელგია)

1:0 ოლისადებე (12), 2:0 ლიბეროპულოსი (62), 3:0 ოლისადებე (73)
**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ფისასი, კოლკა (გუმასი 78), მიკაელსენი, კარაგუნისი (პ. კონსტანტინიდისი 83), ბასინასი, ლიბეროპულოსი (ვარჟიხა 87), ოლისადებე
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
**ანდერლეხტი:** ზიტკა, ა. ილიჩი (დოლი 46), დე ბუკი, კრასონი (დინდანე 73), ტიჰინენი, ლოვრე, ვანდერეგე, ჰენდრიქსი, ბასეჯიო, იესტროვიჩი (მორნარი 78), სეოლი
მწვრთნელი: უგო ბროოსი
გაფრთხილება: კრასონი
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
16 000 მაყურებელი

**სლავია** (ჩეხეთი) 1:0 **ბეშიქთაში** (თურქეთი)

1:0 ტ. დოშეკი (62)
**სლავია:** ჩერნი, ლ. დოშეკი, მ. მიულერი, პეტროუში, ბეიბლი, პიტაკი, რ. დოშტალეკი, გედეონი, სკაჩელი (პრდლიჩკა 87), ტ. დოშეკი (ადაუტო 81), ვახოუშეკი (კუკა 74)
მწვრთნელი: მიროსლავ ბერანეკი
**ბეშიქთაში:** კორდობა, ძაგო, თოლგა, ტაიფური, ილდირიმი (სერგენი 42), რონალდუ, დურსუნი, იბრაჰიმი, იასინი, კაანი (ნუმა 78), პანჩუ
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: ძაგო, ტ. დოშეკი
გაძევება: ძაგო (84)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
12 375 მაყურებელი

**ოსერი** (საფრანგეთი) 0:1 **ლივერპული** (ინგლისი)

0:1 ჰიიპია (73)
**ოსერი:** კოლი, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ჟაურე, ლაშუერი, ტაინიო, ფეიე, ფადიგა, მატისი, მვარუვარი
მწვრთნელი: გი რუ
**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ანშო (დიაო 69), ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ტრაორე, მერფი, დიუფი,ოუენი (ბაროში 90), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: დიუფი
მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)
22 000 მაყურებელი

**ლაციო** (იტალია) 3:3 **ვისლა** (პოლონეთი)

1:0 ლაზეტიჩი (39), 1:1 უჩე (39), 2:1 ჟოპი (44ს.კ.), 2:2, 2:3 ჟურავსკი (49პ, 63პ), 3:3 კიეზა (71)
**ლაციო:** მარკეჯანი, ოდო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, პანკარო, ლაზეტიჩი (სეზარი 60), დ. ბაჯო (დ. სტანკოვიჩი 73), ლივერანი, სიმეონე (კ. ლოპესი 55), ფიორე, კიეზა
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**ვისლა:** შუგესი, ბესჩინსკი, გლოვაცკი, ჟოპი, სტოლარჩიკი, უჩე, სტრაკი, კანტორო (სიმკოვიაკი 75), კ. კოსოვსკი, კუჟბა, ჟურავსკი (დუბიცკი 77)
მწვრთნელი: ჰენრი კასპერჩაკი
გაფრთხილება: ბასჩინსკი, კანტორო, მარკეჯანი, პანკარო
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
20 000 მაყურებელი

**სელტიკი** (შოტლანდია) 3:1 **შტუტგარტი** (გერმანია)

0:1 კურანი (27), 1:1 ლამბერტი (36), 2:1 მელოუნი (45), 3:1 პეტროვი (68)
**სელტიკი:** დუგლასი, მაკნამარა, ვალგაერენი, ბალდე (უ. ლაურსენი 87), მელოუნი, ლამბერტი, ა. ტომპსონი (ჯ. სმიტი 68), აგატი, ს. პეტროვი, სატონი, ლენონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბორდონი, მეირა, მაისნერი (აუნდიო 76), გერბერი, სოლდო, გლები (კარნელი 50), ბალაკოვი, ამანატიდისი (დანგელმაირი 19), კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მეირა, მაისნერი
გაძევება: ბორდონი (17)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
59 000 მაყურებელი

**მალაგა** (ესპანეთი) 0:0 **აეკ** (საბერძნეთი)

**მალაგა:** კონტრერასი, ხოსემი, ლიტოსი, როტეტა, ვალკარსე, მანუ, ხერარდო, მ. რომერო, მუსამპა (კანაბალი 82), დარიო სილვა, დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
**აეკ:** ხიოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ, რაიტი, კასაპისი, ლაკისი (ს. კონსტანტინიდისი 90), კრეეკი, ზაგორაკისი, მალადენისი, ნალიცისი (ცარტასი 46), ნიკოლაიდისი (ივიჩი 82)
მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი
გაფრთხილება: კრეეკი, დარიო სილვა
მსაჯი: ჟელკო სირიჩი (ხორვატია)
6 000 მაყურებელი

**პორტუ** (პორტუგალია) 6:1 **დენიზლისფორი** (თურქეთი)

1:0 ნუნუ კაპუშუ (48), 2:0 დერლეი სილვა (53), 3:0 რიკარდუ კოშტა (64), 4:0 იანკაუსკასი (69), 5:0 დეკო სოუზა (75), 5:1 კრატოხვილი (78), 6:1 ალენიჩევი (82)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, მარიუ სილვა (ნუნუ ვალენტე 46; ტ. ფერეირა 58), მ. რიბეირუ, დეკო სოუზა, ალენიჩევი, დერლეი სილვა, ნუნუ კაპუშუ, იანკაუსკასი (პოსტიგა 72)
მწვრთნელი: ჟოზე მურინიუ
ამისგან ტრაგედიას აბა, ვინ შექმნის?

„მანჩესტერი“ ისედაც თამაშობს ხოლმე თავისი ძირითადი ფეხბურთელების გარეშე. საქმე უფრო სხვა არის: ასეთი ამბები რომ გახმაურდება ჩვენს დროში, კრიზისულ ვითარებას მიაწვებიან ხოლმე, სიმბოლურია, რომ ასე მოხდაო. არსენ ვენგერი არასოდეს ღრიალებს, მაგრამ „არსენალიც“ ვერ თამაშობს ხოლმე. ბრაიან კლაფი სულ ილანძღებოდა და მისი მარწუხები დღემდე ახსოვთ ტედი შერინგემს და როი კინს, მაგრამ კლაფის „ნოტინგემს“ ორ წელიწადს თამაში არ წაუგია და ზედიზედ მოიგო ჩემპიონთა თასი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ისევე როგორც ყველაფერი „მანჩესტერში“, ეს ამბავიც ფერგიუსონის ხელშია და არა ბექემის და მით უმეტეს, არც ვიქტორია პოშ ადამსის. ისინი ბიჭები არიან, ეს კი სამოცი წლის კაცია.

არიან სამოცი წლის კაცები, რომლებიც ღრიალებენ და არიან ბიჭები, რომლებიც ამ ღრიალს იტანენ.

ჰაერში ბუცი გაიფრენს ხოლმე. მუნჯის ენა დედამ იცის. უბრალოდ, არსებობენ სხვადასხვაგვარი დედები და სხვადასხვაგვარი მუნჯები.



# სერული საქმე

## ალექს ფერგიუსონმა ჰაიბერიზე ტვინი დაკარგა

**რა ეშველებოდათ** ინგლისელებს, სერ ალექს ფერგიუსონს წინა უქმეებზე დევიდ ბექჰემისთვის ბუცი რომ არ ესროლა? ალბათ, მოწყენილობისგან დაიხოცებოდნენ. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მენეჯერმა ისროლა და ცხოვრებაც გახალისდა.

თუმცა ყველა ამბავი, ადრე თუ გვიან, ძველდება და ხალხს ხელახლა რომ არ მოეწყინა, ფერგიუსონმა გუშინ ახალი ოინი მოიგონა. არა, სერ ალექსს ამჯერად არავინ უცემია, უბრალოდ „ტაიმსს“ ინტერვიუ მისცა და ფრიად საინტერესო რამ იქვა. კერძოდ, მენეჯერმა დაიყინა, „მანჩესტერმა“ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეიგულიანა სვენ გორან ერიკსონი ჩემს შემცვლელადო. ფერგიუსონისავე თქმით, შვედი ამ შეთავაზებას დაუფიქრებლად დათანხმებულა და ახალ სამსახურში კორეა-იაპონიიდან დაბრუნებისთანავე უნდა მისულიყო.

ფერგიუსონი რაინდის ტიტულს ფლობს, რაინდის სიტყვას კი უნდა ენდო. მაგრამ რა ვუყოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიც რა ხანია, დამთავრდა, „მანჩესტერს“ და ინგლისის ნაკრებს კი მწვრთნელები არ შეცვლიათ. „იუნაიტედის“ თავმჯდომარე პიტერ კინიონმაც თქვა, რა ერიკსონი, რის ერიკსონიო. ხოლო ფეხბურთის ასოციაციაში დასძინეს, იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კომენტარი რომ ზედმეტიაო.

კაცმა რომ თქვას, კომენტარი საჭირო არც არის, მთავარია, რომ ხალხს სალაპარაკო მიეცა, ხოლო იმ ხალხმა, რომლებისთვისაც ხალხის გამხიარულება პროფესიაა, ახალი ხუმრობისთვის თემა იშოვა.

პოლ ბარელი ყოფილი დი-ჯეია, ახლა კი „ჰაიბერიზე“ გამომცხადებლად მუშაობს. ოღონდ იქაური გამომცხადებლობა ჩვენებურისგან დიდად განსხვავდება, ყველაფერს ერთნაირი, არაფრისმთქმელი ინტონაციით კი არ აცხადებენ.

პოლ ბარელს საჭირო დროს ფეხბურთელთა გვარების გამოცხადების გარდა „არსენალის“ მატჩების დაწყებამდე მაყურებლისთვის სხვადასხვა საინტერესო საფეხბურთო ამბების თხრობაც ევალება, შიგადაშიგ კი ხუმრობასაც გამოურევს ხოლმე.

ამ სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „აიაქსთან“ მატჩის წინაც ჩვეულებრივ რაღაცები მოყვა და ასეთი ხუმრობაც გამოურია: არსენ ვენგერისგან ინტერვიუ უნდა ამეღო, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ჩვენი გუნდის მენეჯერმა ხმა დაკარგა. ისე, ხმის დაკარგვას ვინ ჩივის, აგერ, ალექს ფერგიუსონმა ჭკუა დაკარგაო.

„ჰაიბერიზე“, ცხადია, ხარხარიატყდა, ხალხი „არსენალის“ მაისურასავით გაწითლდა. მაგრამ რად გინდა, პოლ ბარელს კლუბის ხელმძღვანელობამ საყვედური გამოუცხადა, უკბილო ხუმრობა გამოგივიდაო და „მანჩესტერსა“ და მის მენეჯერსაც ბოდიში მოუხადეს.

მოგეხსენებათ, სერ ალექს ფერგიუსონს უყვარს, როცა ბოდიშს უხდიან.

**კოტე კეკელია**

# ვერ ვნახე შენი ბადალი...



დერმოტ გალაჰერს „ლიდსის“ გულშემატკივრობა დააბრალეს

**იორკშირული** „ლიდსის“ კრიზისის ამბავი მოგეხსენებათ. აი, გასულ კვირასაც ტერი ვენეიბლზის ბიჭებმა რის ვაი-ვაგლახით მოიგეს სათასო შეხვედრა ლონდონურ „კრისტალ პალასთან“ და ასოციაციის თასის მეოთხედფინალში გააღწიეს. და იცით რატომ? იმიტომ, რომ იმ მატჩს დერმოტ გალაჰერი მსაჯობდა.

საქმე მხოლოდ ის როდია, რომ 1:1-ზე („ლიდსმა“ 2:1 მოუგო პირველდივიზიონელს) ლონდონელი ტომი ბენქსის დარტყმულმა ბურთმა სტუმართა კარის ხაზი გადაკვეთა, მაგრამ მისტერ გალაჰერმა ეს ვერც თავად დაინახა და ვერც თანამსაჯებმა დაინახეს. უბრალოდ, ეს არბიტრი „ლიდსისთვის“ ნამეტანი იღბლიანია. როგორც სტატისტიკოსებმა გამოითვალეს, 1997 წლის აგვისტოდან მოყოლებული გალაჰერმა ლიდსელთა 18 მატჩი იმსაჯა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამათში იორკშირული კლუბი არასდროს დამარცხებულა — 13 მოგება და 5 ფრე. რაც მთავარია, გალაჰერს ამ გუნდის კარში პენალტი არასდროს დაუნიშნავს.

ასე რომ, ჩვენებურ მეკუშეებს „ლიდსის“ თამაშზე ფსონის დადებისას მსაჯის ვინაობის დადგენაც მართებთ — 6 წელია ჭრის და რაღა ახლა გაწყრება ბატონი გალაჰერი?

**გიგა კობახიძე**



# პერანგი რიოსგან

24 წლის რიო ფერდინანდი ორიოდ მილიონით გამდიდრდა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისედაც მილიონერი მცველი „ბენ შერმანის“ ახალი სახე გახდა. ამ ფოტოს ფერადი და უზარმაზარი ვერსია მალე გამოჩნდება სრულიად ბრიტანეთის ქუჩებში და მოსახლეობას „ბენ შერმანის“ პროდუქციის ყიდვისკენ მოუწოდებს.

დავაზუსტებთ, რომ საქმე მოტოციკლეტის რეკლამას არ ეხება — შესაბამისი სიტყვა ქართულში მთლად ხეირიანად ვერ ჟღერს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ „ბენ შერმანი“ მამაკაცთა პერანგების შემქმნელი ფირმაა.

# და ყოველდღე ბაბას ჰკითხო...

**გუშინწინ** გაზეთი „სანი“ ლონდონური „ჩელსის“ ნიგერიელ მცველ სელესტინ ბაბაიაროს გაესაუბრა და, სხვათა შორის, გუნდის კაპიტან მარსელ დესაიზე მეტად სახალისო ამბები შეიტყო. „ის დიდებული მოთამაშე და ბრწყინვალე ლიდერია“ — თქვა თანაკლუბელზე ბაბაიარომ, თუმცა, დიდად უცნაური კაციაო, ესაც დაამატა. თურმე ნუ იტყვით და, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ფრანგმა ხშირად არ იცის, კვირის რა დღეა: „კარჯიშზე იკითხავს ხოლმე, დღეს რა დღეაო“. ეგ კი არა, საშინაო მატჩებისას დესაი მხოლოდ იმ დილით იგებს, ვინაა მეტოქე: „მოვა მატჩისწინა საუზმეზე და ჩუმად მეკითხება, ბაბა, დღეს ვის ვეთამაშებით?“.

მოკლედ, „ჩელსი“ არა მხოლოდ მრავალეროვანი გუნდია — ზოგმა მეტოქის ვინაობა არ იცის, ზოგი კი მსოფლიოში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი ამბის საქმის კურსშია: გრემ ლე სო, ვისაც თვით „ინდეპენდენტეც“ კი აქვს გამოწერილი, ერთადერთი ფეხბურთელია პრემიერლიგაში, ერაყთან ომის საწინააღმდეგო პეტიციაზე რომ მოაწერა ხელი.









სელესტინ ბაბაიარომ პირი მოაღო, ეს ჩვენი დესაი მგონი, ვერ არისო...





„დეპორტივომ“ თუ ივარგა, დონატო (შუაში) ანასტასიოს მიტროპულოსის ოთხწუთიან რეკორდს ოთხი დღით გააუმჯობესებს

# ოთხწუთა რეკორდი

## დონატოს დღეები დათვლილია

გუშინდელ „სარბიელში“, „ბაზელი“ — „დეპორტივოს“ მატჩის მიმოხილვაში ასეთი ფრაზას წააწყდებოდით: საგულისხმოა, რომ „დეპორტივოს“ შემადგენლობაში, ნახევარდაცვის ცენტრში, 40 წლის გაესპანელებული ბრაზილიელი დონატო თამაშობდა. იგი გახლავთ ასაკით მეორე, ვისაც ოდესმე ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია.

ვფიქრობთ, ამ მწირი ინფორმაციის განვრცობა ურიგო არ იქნება.

ოთხშაბათს საღამოს, როცა ჩრდილოეთ შვეიცარიის ბალ-ბოსტნები თოვლმა დაფარა, იურიმეტრებში ვერცხლისწყლის სვეტმა ნულს ქვემოთ დაიწია და ბაზელის „სენტ იაკობ პარკის“ გაზონი მოიყინა, ხოლო შუახნის მამაკაცები ვამიბარ სახლებში ფეხბურთის სანახავად ტელევიზორებს მიუსხდნენ, ერთმა მათი ხნის კაცმა ტრუს-მაისურა ჩაიცვა, ჩუსთაიმანები გაიკეთა და სათამაშოდ გავიდა. იმ დღეს დონატო 40 წლისა და 50 დღის იყო. 40 წლისა 30 დეკემბერს მოიყარა და რომ არა ექვსი წლის წინანდელი კურიოზული ოთხწუთიანი შეცვლა, ახლა ის იქნებოდა ლიგაში მოთამაშე ყველა დროის უხუცესი მოთამაშე.

1997 წლის 10 დეკემბერს, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. მაშინ მეორე ჯგუფური ეტაპი არ არსებობდა და ექვსი ჯგუფიდან პირველადგილოსნები და ორიც საუკეთესო მეორეადგილოსანი პირდაპირ მეოთხედფინალში გადიოდა.

D ჯგუფში პირველ ადგილზე თასის მომავალი პატრონი „რეალი“ გავიდა. მეორე ადგილი, ბოლო ტურის შედეგის მიუხედავად, ტრონჰეიმის „როზენბორგისა“ იყო, მაგრამ საუკეთესო მეორეადგილოსნობისთვის ათენში „ოლიმპიაკოსის“ დამარცხება მართებდა. „ოლიმპიაკოსს“ კი მიზანი აღარ ჰქონდა, მესამეობისთვის განწირული იყო.

86-ე წუთისთვის „როზენბორგი“ 2:1 იგებდა და თავი ქუდში ეგონა, უკვე მეოთხედფინალზე ფიქრობდა. მასპინძლებისთვის კი, როგორც მოგახსენეთ, წაგებას და მოგებას ერთი ფასი ჰქონდა. ჰოდა, ბერძენთა მწვრთნელმა ფორვარდ ანასტასიოს მიტროპულოსს უბრალოდ პატივი სცა: ამ ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგაში არასდროს ეთამაშა. კარიერის დასრულებასაც აპირებდა და ბარემ ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშევობაც ჩაეთვალოსო, მოედანზე ბოლო ოთხი წუთით შეუშვა. ამგვარად, ფეხბურთელი, რომელსაც ლიგაში მხოლოდ 4 წუთი აქვს ნათამაშევი, იმ დღეს კი 40 წლის და 109 დღისა იყო, უეცრად რეკორდის მფლობელი შეიქნა.

იმ ოთხ წუთში კი აი, რა მოხდა: მიტროპულოსის პასით პრედრაგ ჯორჯევიჩმა ნორვეგიელებს ბოლო წუთზე გაუთანაბრა და ჯგუფში ჩატოვა. ამ გოლმა კი საუკეთესო მეორეადგილოსნად B-ჯგუფელი „იუვენტუსი“ აქცია. ერთი სიტყვით, იმ სეზონის ფინალში „რეალი“ „იუვენტუსს“ რომ შეხვდა და არა რომელიმე სხვა გუნდს, თავისი წვლილი მიტროპოლუსმაც შეიტანა.

ახლა ის დავითვალოთ, როდის შეძლებს დონატო ბერძენის რეკორდის მოხსნას. ამისთვის მან მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში უნდა ითამაშოს. ეს მატჩი 23 აპრილს გაიმართება და „დეპორტივომ“ იქამდე თუ მიაღწია, დონატო იმ დროისთვის 40 წლის და 113 დღისა იქნება, ანუ მიტროპოლუსზე 4 დღით უფროსი — ეს დღესავით ნათელია. მაგრამ „დეპორტივო“ ჯგუფიდან თუ გააღწევს, საკითხავი აი, ეს არის. დღეისთვის ლაკორუნიელები ჯგუფში ბოლო ადგილზე არიან და სამი ქულით ჩამორჩებიან მეორეადგილოსან „იუვენტუსს“.

დონატო გამა და სილვა, ტომით ბრაზილიელი, ესპანეთში 1988 წელს „ვასკუ და გამადან“ გადაბარგდა. ხუთი წელი მადრიდის „ატლეტიკოში“ ითამაშა, „დეპორტივოში“ გადასვლის მერე კი ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და 12 სანაკრებო მატჩშიც ითამაშა.

მხცოვანთა სიაში მეორე ადგილზე ანაცვლებით მან ერთბაშად ორი ასაკოვან ფეხბურთელს გადაუსწრო — „არსენალის“ ოდინდელ მეკარე ჯონ ლუკიჩს და ბენფიკელთა ბელგიელ მიშელ პრიუდომს.

**გიორგი დარჯანია**

# ხუთი ამბავი მილანის სიყვარულზე

**იტალიიდან,** კერძოდ, მილანელოს საწვრთნელი ბაზიდან:

„მილანთან“ ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ვეტერანმა მცველმა ალესანდრო კოსტაკურტამ. ბილი (კოსტაკურტას მეტსახელია) სეზონის დაწყების წინ კარიერის გაგრძელებას ამერიკულ მეიჯორ სოკერ ლიგაში გეგმავდა, თუმც „შავ-წითლების“ უფროსობამ დარჩენა სთხოვა და არც უნანია. კოსტაკურტამ რიგ მატჩებში ღირსეულად შეცვალა ალესანდრო ნესტა. ახალი კონტრაქტით, რომელიც 2004 წლის 30 ივნისამდეა ძალაში, ორივე მხარე კმაყოფილია. „მოხარული ვარ, „მილანი“ ჩემი სული და გულია“ — ამბობს კოსტაკურტა.

ახალი ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს 34 წლის კაპიტანი პაოლო მალდინიც. მალდინი ხელფასის შემცირებაზეც თანახმაა. მისი თქმით, ფული იმდენად აღარ აინტერესებს, რადგან უმთავრესი კლუბია: „მილანში“ 1985 წლიდან ვთამაშობ, ეს გუნდი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მან სახელი, პოპულარობა, ტიტულები მომიტანა“. მალდინიმ „მილანთან“ ერთად 6-ჯერ სკუდეტო, 3-ჯერ ევროპის ჩემპიონთა თასი, 3-ჯერ ევროპის სუპერთასი და 2-ჯერ საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. არის მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონი „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში.

ადრიანო გალიანიმ, ბრაზილიელმა ლეონარდომ და პაოლო მალდინიმ „მილანის“ ფონდი დააარსეს. საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის პრეზიდენტიც ლეონარდო გახლავთ ობოლ და გაჭირვებულ ბავშვებს დაეხმარება. პრეზენტაცია „სან სიროზე“ მოეწყო და მას ზემოხსენებული სამეულის და დაინტერესებულ პირთა გარდა ფეხბურთელები: ბროკი, დიდა, გატუზო, ფიორი, რივალდო, როკე ჟუნიორი, სერჟინიო და შიმიჩი ესწრებოდნენ. „ასეთი ფონდის შექმნის სურვილი ყოველთვის მქონდა. იდეა პიპო ინძაგიმ მომაწოდა. პროექტი ადრე შევიმუშავეთ. ფონდი უბან ტერცო სეტორეში დაიდებს ბინას, ობოლ და გულით დაავადებულ ბავშვებს შევეწევით“ — ამბობს ლეონარდო.

უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომ კიევში ყოფნისას ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთს ინტერვიუ მისცა, სადაც „შევა“ კატეგორიული ტონით აცხადებს, „მილანის“ დატოვებას არ ვაპირებ, მეტიც, სილვიო ბერლუსკონისთან ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებს და ვერ ვუღალატებო. კითხვაზე, თუ რატომ არ სურს ბერლუსკონისთან განშორება, შევჩენკო პასუხობს: „მე მასთან ვალში ვარ, როცა მამაჩემი ძალიან ცუდად გახლდათ და გადაუდებელ გულის ოპერაციას საჭიროებდა, გვერდით სინიორ სილვიო დამიდგა, მან ითავა ოპერაციის ორგანიზება. კიევში გულის გადანერგვა შეუძლებელი იყო, იტალიაში კი საუკეთესო მედიკოსები მოიწვია. ბერლუსკონის უდიდესი მადლობელი ვარ“. ჟურნალისტებმა ფეხბურთელს უთხრეს, რომ „რეალი“, „მანჩესტერი“ და სხვა კლუბები დღემდე ცდილობენ მის გადაბირებას. პასუხი: „არსადაც არ მივდივარ. „მილანში“ თავს ჩინებულად ვგრძნობ, მიყვარს აქაურობა, ტიფოზები და ისინიც მაფასებენ“. შევჩენკოს პასუხს, გალიანის კომენტარიც მოჰყვა: „მერამდენედ! გაზეთებს სხვა რა გზა აქვთ, იჭორაონ. სიმართლე ხომ მხოლოდ ჩვენ ვიცით, შევჩენკო არ იყიდება!“

ამბობენ, ნახევარმცველ ჯენარო გატუზოს ლონდონური „ჩელსი“ „ეჩალიჩებაო“, მეკარე კრისტიან აბიატის კი თურმე „პარმა“. იმასაც ამბობენ, „მილანი“ გატუზოს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებს, თუ „რეალიდან“ კლოდ მაკელელეს გადაიბირებსო. გალიანი ამასაც პრესის მონაჩმახს უწოდებს, ჩვენ არავინ შეგვხმიანებია და საიდან ეს დეზინფორმაციებიო.

**გიორგი ვაშაკიძე**




ლეონარდო, ადრიანო გალიანი და პაოლო მალდინი

## Copa Toyota Libertadores '2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

III ჯგუფი. II ტური

სანტოსი (ბრაზილია) 3:1 12 დე ოქტუბრე (პარაგვაი)

0:1 ბარეირო (3), 1:1 ელანო (17), 2:1 რ. ოლივეირა (63), 3:1 ნენე (72)

IV ჯგუფი. II ტური

ოლიმპია (პარაგვაი) 0:0 კობრელოა (ჩილე)

VII ჯგუფი. I ტური

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 2:0 ინდეპენდიენტე (კოლუმბია)

1:0 ე. გონსალესი (50), 2:0 დელგადო (86)

### მეფის თასი
III ტური

ტაილანდი 1:4 შვედეთი

ჩრდ. კორეა 2:2 ყატარი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ჩრდ. კორეა | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| ყატარი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |

მატჩი მე-3 ადგილისთვის. 22.02

ტაილანდი — ყატარი

ფინალი 22.02

შვედეთი — ჩრდ. კორეა




# მჩიჩქვნელები და ეჭვიანები

## ბაიერნი სეპარატიზმში დაადანაშაულეს

## პროკურატურამ 40 მილიონი მარკა უნდა გამოიძიოს

**საქმე ალბათობაშია** — მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ შესაძლოა პროკურატურამ გამოძიება წამოიწყოს — ბავარიულ ტოპკლუბს გაკოტრებულ „კირხმედიასთან“ საიდუმლო, უკანონო გარიგებაში დასდეს ბრალი.

ჩინქნა ბერლინელმა ადვოკატმა ბერტ ჰანდშუმახერმა ითავა და სააგენტო „როიტერს“ განუცხადა კიდეც, საჩივარი მიუნხენის პროკურატურაში უკვე შევიტანე, რომელსაც შეისწავლიან და მერელა გადაწყვეტენ, გამოძიებას შეუდგებიან თუ არაო.

ჟურნალისტებმა მყის მიუნხენის პროკურატურას მიაკითხეს და იქაური პრესსამსახურისგან შეიტყვეს, რომ საჩივარი ჯერ არ მიუღიათ.

ამაზე ჰანდშუმახერმა ბრძანა, ჩემი საჩივარი გზაშია და მალე მიაღწევს დანიშნულების ადგილამდეო.

ბერლინელ იურისტს არაფერი დაუკონკრეტებია, მაგრამ ერთ-ერთმა გერმანულმა ჟურნალმა მაინც გახეთქა ჰანდშუმახერის მხილებები — „კირხმედიას“ სხვა ბუნდესლიგური კლუბებისგან ნაშოვნი ფულისგან „ბაიერნისთვის“ მალულად დაუყაჭია 40 მილიონი მარკა.

არადა, „ბაიერნს“ დამატებითი თანხა „კირხმედიასგან“ არ უნდა მიეღო — ასეთი იყო შეთანხმება ბუნდესლიგის კლუბებს, გერმანიის საფეხბურთო ლიგასა და „კირხმედიას“ შორის — ტელეტრანსლაციებიდან შემოსული ფული კლუბებს თანაბრად უნდა გაეყოთ, რასაც მარკეტინგის ცენტრალური სისტემა ჰქვია.

„ბაიერნი“ აღიარებს, რომ „კირხმედიასგან“ მართლაც მიიღო სხვაზე მეტი თანხა, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ამ კომპანიასთან ცალკეც გვქონდა ხელშეკრულება დადებული, რაც მარკეტინგის ცენტრალურ სისტემას არ ეწინააღმდეგებაო. ბავარიელები იმასაც ამბობენ, „კირხმედიასთან“ კერძო გარიგება სხვა კლუბებსაც ჰქონდათო.

სხვა კომენტარი მიუნხენურ ბობოლას არ დასცდენია — „ბაიერნს“ თავისი კონტრაქტი გაკოტრებულ „კირხმედიასთან“ მარშან დეკემბერში დაუმთავრდა.

მაგრამ როგორ იქნებოდა, „ბაიერნის“ კომერციულ მენეჯერ ული ჰოინესს სიტყვა არ ეთქვა: „ერთადერთი რამ, რაც ამ დომხალში გავიგე, ისაა, რომ სხვა კლუბები კვლავაც ეჭვიანობენ „ბაიერნზე“. ვინც კი მიცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ცენტრალიზებულ მარკეტინგს მხარს ვუჭერ. ჩვენ საკუთარი თავი არ გაგვიყიდია.“

**დავით თამართბილაძე**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ევროპული კალათბურთი



# ვნახოთ... სიენამ უგრე მიიწვია

**საქართველოს ნაკრების** ცენტრის დავით უგრეხელიძის იტალიაში გამგზავრება გადაწყვეტილი ამბავია: დათომ თბილისი-პარიზი-რომის ორშაბათის ავიარეისზე ბილეთი დაჯავშნა, რომლის საფასურსაც იტალიური კლუბი „სიენა" იხდის.

რა მიხვედრა უნდა, რომ უგრეხელიძის ვოიაჟი იტალიის ამ მყუდრო ქალაქში დასრულდება. დავითის მენეჯერ რობერტო რიჩის სწორედ „სიენა" შეურჩევია ქართველისთვის და უგრეხელიძის ამ კლუბში მოწყობის ამბავიც იტალიაში გადაწყდება.

„ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება, „სიენაში" გასინჯვებზე მივდივარ. რადგან ჩემით დაინტერესდნენ, ესე იგი, სერიოზული ზრახვები აქვთ. ვნახოთ, რა მოხდება, თუ მოვეწონე, ალბათ კონტრაქტსაც გამიფორმებენ".

უგრეხელიძე იტალიაში ორი კვირა ივარჯიშებს „სიენასთან" და თბილისში დაბრუნდება. სიენელებმა ქართველის შემატება თუ გადაწყვიტეს, უგრეხელიძე ხანგრძლივ იტალიურ ვიზას მიიღებს და თავის ახალ გუნდს შეუერთდება.

„სიენა" იტალიური სერია A-ს ლიდერთაგანია და ევროლიგაშიც ჯერჯერობით წარმატებით ასპარეზობს. ევროლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე სიენელები ჩვენებური ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას" მეტოქენი იყვნენ და საშინაო მატჩი მოუგეს. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი მოცილედ ბერძნული „პანათინაიკოსი", იტალიური „სკიპერი" და ზაზა ფაჩულიას სტამბოლური „ულქერი" ეყოლებათ.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს 12 ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი

# ხოშტარია არაფერ შუაშია

ოთხშაბათის „სარბიელში" გაუწყეთ, „აკადემია" — „დინამოს" მატჩში ამტყდარ ჩხუბში მონაწილეობისთვის სხვებთან ერთად დინამოელი ირაკლი ხოშტარიაც დაისაჯა 200 დოლარით. მაყანთა დაუდევრობით, ეს მცდარი გამოდგა. ამ თანხის გადახდა აკადემიელ ლაშა გამყრელიძეს მოუწევს.

# დაღასმა სან ანტონიოს ნოვიცკი და თითი ატაკა

20 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 98:91 ინდიანა**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (31 ქულა, 12 პასი), მარტინი (19)

**ინდიანა:** ჰარინგტონი (22), ონილი (18), მილერი (18)

**საკრამენტო 105:83 ბოსტონი**

**საკრამენტო:** კრისტი (18), კლარკი (18)

**ბოსტონი:** პირსი (22 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (15)

**დალასი 95:87 სან ანტონიო**

**დალასი:** ნეში (29 ქულა, 10 პასი), ნოვიცკი (22), ფინლი (19)

**სან ანტონიო:** როუზი (25 ქულა, 14 მოხსნა), დანკანი (11)

„ინდიანა" და „ნიუ ჯერსი" დღესდღეობით არიან აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერები, თორემ იყო დრო, ისინი ნბა-ს ურჩ ლიგაში აბა-ში გამოდიოდნენ. ჰოდა, „ტკბილი მოგონებების" პატივსაცემად მონაწილენი გუშინწინ ძველი, აბა-სეული ტრუს-მაისურებით გავიდნენ მოედანზე და გვარიანი სანახაობა მოაწყვეს.

ამ გუნდებს ჰყავთ რიგიანი მეფარეები, მაგრამ მატჩის ბედი უკანახაზელებმა გადაწყვიტეს: თუ ამერიკელ კოლეგებს მივენდობით (სხვა გზა არც გვაქვს), „ინდიანა" — „ნიუ ჯერსის" დაპირისპირება რონ არტესტისა და ჯეისონ კიდის დუელი გამომდგარა და ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულებულა. ჯერსელთა „ცბიერ" გამთამაშებელს ლანდივით აჰკვროდა ლიგის ერთ-ერთი ყოჩაღი დამცველი, ყიამყრალობითა და მიდი-მოადეთი ცნობილი რონ არტესტი, რომელმაც ამ მატჩშიც იუზრდელა და მსაჯ ბენი ადამსს ბურთი ესროლა, თუმც როგორღაც გადაურჩა გაძევებას.

ინდიანელებს პირველ ნახევარში კი ულხინდათ, მაგრამ მერე კიდი ათამაშდა, „ნიუ ჯერსის" ერთი მონაკვეთი 25:9 მოაგებინა და ქულით დააწინაურა. „ეს ვინ ყოფილა? რამდენჯერმე ისე გამაცურა, სახტად დავრჩი. ყველაფერი იმის ბრალია, რომ მწვრთნელმა გამთამაშებლის მეურვეობა დამავალა, რაც არაა ჩემი საქმე. კი ვეცადე კიდის შეჩერებას, მაგრამ ვერ მოვახერხე" — ჩიოდა არტესტი.

კიდი მხოლოდ ქულებს როდი იხვეჭდა, მან 13 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. ყველაფრის მიუხედავად, „ინდიანას" თამაშის ხსნის არცთუ ურიგო შანსი მიეცა. ბოლო წუთზე 3 ქულით ჩამორჩენილი ინდიანელების შველა ოდინდელმა სნაიპერმა რეჯი მილერმა ითავა. ყველაფერი ამ გუნდების შარშანდელ მე-5 საპლეიოფო მატჩს ჰგავდა, როცა მილერმა სამქულიანი დეფიციტი უშორესი სროლით აღმოფხვრა. „ინდიანა" ოვერტაიმში მაინც დამარცხდა. ამჯერად მილერმა ბევრი უტრიალა პერიმეტრს, ხელსაყრელი მომენტიც შეარჩია, მაგრამ სროლა გაუცუდდა და...

როგორც იქნა, მოიგო „დალასმა". არა, დალასელები აქამდეც იგებდნენ, თან ხშირადაც, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტეხასელებს პრინციპულ მეტოქესთან უჭირდათ. სანანტონიოელები, რომლებსაც „მავერიკსი" ოთხ აქამომდელ შეხლაში დაეჯაბნათ და ბოლო 9 გასვლით მატჩშიც არ იცოდნენ მარცხის გემო, დალასში კარგ გუნებაზე ჩავიდნენ.

მასპინძელთა გერმანელი ლიდერი დირკ ნოვიცკი, ვისაც ამას წინათ განუცხადებია, რომ მხოლოდ ბობოლების დამარცხება ჰგვრის კმაყოფილებას, კოჭმტკივანი შეება ტიმ დანკანს და მის „სან ანტონიოს". ნოვიცკის გვერდში ედგა ფეხმარდი უკანახაზელი სტივ ნეში. ეს ტანდემი გასაქანს არ აძლევდა სანანტონიოელებს და „დალასმაც" გამარჯვება გამოაცხო. ნეშმა 29 ქულის გარდა გამარჯვებაში სხვა წვლილიც შეიტანა, სტუმრები თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე ლიდერის, ტიმ დანკანის გარეშე დატოვა. ჩია დალასელმა სათამაშო ეპიზოდში შემთხვევით თვალში ხელი მოარტყა გოლიათ სანანტონიოელს და უპეშესიებული დანკანიც გასახდელში გაუჩინარდა. დარჩენილ დროში დალასელებს აღარ გასჭირვებიათ...

საერთოდ, ხუთშაბათი ძლიერთა დღე იყო და დასავლეთის მახვშთაგანმა „საკრამენტომაც" იბურთავა. „მეფეები" შინ დაუხვდნენ მათსავით არა, მაგრამ მაინც ყოჩაღ „ბოსტონს" და იოლად მოუგეს.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS-ის ფოტო

გუშინწინ „ნიუ ჯერსიმ" და „ინდიანამ" ლამის ანტიკურ ფორმებში გამოწყობილებმა ითამაშეს

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 37 | 18 | 67,3 |
| ბოსტონი | 31 | 24 | 56,4 |
| ფილადელფია | 29 | 24 | 54,7 |
| ორლანდო | 26 | 29 | 47,3 |
| ვაშინგტონი | 25 | 28 | 47,2 |
| ნიუ იორკი | 23 | 30 | 43,4 |
| მაიამი | 18 | 36 | 33,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| დეტროიტი | 37 | 16 | 69,8 |
| ინდიანა | 37 | 18 | 67,3 |
| მილუოკი | 27 | 25 | 51,18 |
| ნიუ ორლეანი | 29 | 27 | 51,8 |
| ატლანტა | 20 | 34 | 37,0 |
| ჩიკაგო | 19 | 36 | 34,5 |
| ტორონტო | 16 | 36 | 30,8 |
| კლივლენდი | 10 | 44 | 18,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 42 | 12 | 77,8 |
| სან ანტონიო | 37 | 17 | 68,5 |
| მინესოტა | 34 | 21 | 61,8 |
| იუტა | 32 | 22 | 59,3 |
| ჰიუსტონი | 28 | 25 | 52,8 |
| მემფისი | 16 | 36 | 30,8 |
| დენვერი | 12 | 43 | 21,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 38 | 18 | 67,9 |
| პორტლენდი | 35 | 18 | 66,0 |
| ფინიქსი | 30 | 24 | 55,6 |
| ლეიკერსი | 28 | 25 | 52,8 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 30 | 44,4 |
| სიეტლი | 22 | 30 | 42,3 |
| კლიპერსი | 19 | 34 | 35,8 |

*ამ ღამეს გერი პეიტონს თავისი მე-1000 შეხვედრა უნდა ეთამაშა „სიეტლის" მაისურით. მისი „სიეტლი" (სწორედაც რომ მისი, რადგან პეიტონი „სიეტლისთვის" ყველაფერი იყო) პარასკევ საღამოს „მილუოკი ბაქსს" უნდა შეხვედროდა. პეიტონი ეგებ გავიდა კიდეც იმ თამაშში მოედანზე, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, რადგან ჩვენთან ამ დროს უკვე დილაა და გაზეთი მკითხველს ელის. და თუ გავიდა მოედანზე, არა „სიეტლის", არამედ „მილუოკის" მაისურით*

# პატრონ-ყმობა XXI საუკუნეში

## სიეტლმა „მთელი სიეტლი ეგ იყო" გაყიდა



ყველაფერი ორ-სამ საათში გადაწყდა, დაინგრა 13-წლიანი ურთიერთობა, რომელიც 90-იანი წლების გარიჟრაჟზე გერისა და „სონიქსს" შორის თანამშრომლობით დაიწყო და მალევე გადაიზარდა ერთგულებასა და მეგობრობაში. გერი პეიტონი წლების განმავლობაში ხალისით ეწეოდა „სუპერსონიქსის" ლიდერის ჭაპანს, 1993 წელს ეს გუნდი დასავლეთის ფინალში გაიყვანა, 1996 წელს კი დიდი ფინალისკენაც გაუჭრა გზა. დროთა განმავლობაში მან დაამხო კლუბის არაერთი რეკორდი, გახდა „სიტელის" ყველა თაობის პირველი მექულე, მეპასე, ჩამჭრელი...

...გუშინწინ კლუბმა ის „მილუოკი ბაქსს" რეი ალენში გაუცვალა. ეს ულირსი ვაჭრობა შედგა ზედ ამ გუნდების შეხვედრის წინ და ეს შეხვედრა, როგორც ვთქვით, მე-1000 უნდა ყოფილიყო პეიტონისთვის „სიეტლში" და საერთოდ ნბა-ში. პეიტონს ხომ სხვა კლუბში თამაშიც არ ჩაუტარებია. „სიეტლმა" პეიტონი გამოწურული ლიმონივით გადააგდო. თუმც კი პეიტონზე კაცი ვერ იტყვის, დაჩაჩანაკებული ბებერიაო. 34 წლის ასაკშიც კი ის იოლად ჩაითვლება ლიგის სამ საუკეთესო გამთამაშებლიდან ერთ-ერთად, ყოველ თამაშში აგროვებს საშუალოდ 20,8 ქულას და 8,8 პასს (საუკეთესო შედეგი წლევანდელ სეზონში) და ისევე, როგორც 5-10 წლის წინ, გუნდის სული და გულია. მართალია, „სიეტლი" წლეულს შედარებით მეტ თამაშს აგებს, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებადაა პეიტონის ბრალი, კლუბის ბოსებს არ სურთ აღიარონ, რომ წინასასეზონო სელექციაში ფეხი ვერ გამოიჩინეს და გუნდი უხეიროდ დააკომპლექტეს. თურმე პეიტონი ყოფილა ამაში დამნაშავე.

კულისებში გაცვლის მიზეზად სხვა რამეს ასახელებენ — „სიეტლის" მფლობელ ჰოვარდ შულცს გულზე არ ეხატებოდა პეიტონიო. შულცმა თავისი გააკეთა — ბატონმა ყმა გაცვალა ისე, რომ მისთვის არ უთხოვია ნებართვა. არც გუნდის მწვრთნელ ნეიტ მაკმილანის აზრი გაიზიარა. მაკმილანი რვა წლის განმავლობაში იყო პეიტონის თანამებრძოლი და მეგობარი, 2000 წლიდან კი მისა და „სიეტლის" მწვრთნელი გახდა. „ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ. მე დავკარგე არა მარტო საუკეთესო მოთამაშე, არამედ ახლო მეგობარი" — ამბობს მაკმილანი.

ბედის ირონიით, პეიტონი გაუშვეს იმ გუნდში, რომელსაც სიეტლის ძველი მწვრთნელი ჯორჯ კარლი წვრთნის. კარლი 1992-97 წლებში თავკაცობდა „სიეტლს" და მის ხელში დაფრთიანდა პეიტონი. ჯორჯ კარლმა კარგად იცის თუნდაც 34 წლის პეიტონის ფასი და მის ხელში ჩასაგდებად თვით რეი ალენს, „მილუოკის" საუკეთესო მოთამაშეს და ქვეყნის ნაკრების წევრს შეელია. არადა, 27 წლის ალენი ახლა კარიერის პიკზეა.

ალენს „მილუოკიდან" „სიეტლში" კიდევ ორი კალათბურთელი — კევინ ოლი და რონალდ მიურეი გადაჰყვნენ, პეიტონს კი „მილუოკში" კარგი მოთამაშე დესმონდ მეისონი წაჰყვება.

ჰოვარდ შულცი ფაქტობრივად ახალ გუნდს აშენებს, ლიდერი რეი ალენი იქნება. „სიეტლმა" კი ამ დედლაინზე (გაცვლის გაკეთების ბოლო დღე სეზონში) კიდევ ერთი ვაჭრობა მოაწყო და თავიდან მოიშორა მეორე გამთამაშებელი, პეიტონის შემცვლელი კენი ანდერსონი. ეს ვეტერანი „ნიუ ორლეანში" გადავიდა, მოპირისპირე მიმართულებით კი იმოგზაურა ცენტრმა ელდენ კემპბელმა.

დედლაინის მესამე გაცვლა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს" შეეხო. „დენვერმა" „ბოსტონში" გაუშვა ორი მეფარე — მარკ ბლუნტი და მარკ ბრაიანტი, სანაცვლოდ კი გამთამაშებელი შემონდ უილიამსი მიიღო. საკითხავი ისაა, ჯეფ ბზდელიკს ეს შეზღუდული შესაძლებლობების ჯეელი რაში სჭირდებოდა. „დენვერის" მწვრთნელს ისედაც მოეძევება უილიამსზე რიგიანი გამთამაშებლები — კრის ვიტნი და ლორინზა ჰარინგტონი.

**ირაკლი ფირაშვილი**

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

# საქართველო — ესპანეთი

22 თებერვალი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი



გუშინდელ პრესკონფერენციაზე: გია ჭუმბურიძე, კლოდ სორელი, ბიძინა გეგიძე, ანდრეი კოვალენკო, პიერ პერესი და ხუან ლუკე

## კლოდ სორელი გვილოცავს ახალ წელს და ახალ ნაკრებს გვთავაზობს

*დღეს „ეროვნულზე" ერთა თასის მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ესპანეთს უმასპინძლებს. მატჩი სამ საათზე დაიწყება. ბილეთის ფასი 3 და 5 ლარია. გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ საამატჩო პრესკონფერენცია გამართა. ჩვენებიდან ჟურნალისტთა კითხვებს ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა უპასუხა. სტუმრების ნაკრებს წარმოადგენდნენ მენეჯერი ხუან ლუკე, ფრანგი მწვრთნელი პიერ პერესი და კაპიტანი, ტომით უკრაინელი ანდრეი კოვალენკო. რადგან ესპანელები ვარჯიშზე მიიჩქაროდნენ, პირველი სიტყვა მათ ერგოთ. სანამ კითხვებს უპასუხებდა, პერესმა იხუმრა, რაც ესპანეთის მწვრთნელი გავხდი, საფრანგეთის ნაკრებს მეორედ ვეთამაშებიო. პერესი საფრანგეთის ნაკრებში საქართველოსა და რუმინეთს გულისხმობდა, რომელთა მორაგბეების უმეტესობა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და მწვრთნელებიც ფრანგები ჰყავთ*



ქართველები და ესპანელები სამჯერ უკვე დაეჯახნენ ერთმანეთს

**პიერ პერესი:** „გუნდში მოსვლისთანავე გადავახალისე შემადგენლობა და შევცვალე სათამაშო სტილი. ჩვენი მთავარი მიზანია, მსოფლიოს თასზე მოვხვდეთ. საამისოდ ჯერ ტუნისს, მერე კი აშშ-ს უნდა მოვუგოთ. სწორედ ამ მატჩებისთვის ვემზადებით და ისეთ ძლიერ გუნდთან თამაში, როგორიც საქართველოა, ძალიან წაგვადგება. თუმცა ამ ტრენინგ-მატჩსაც შეიძლება ჰქონდეს უკუჩვენება. თუ დიდი სხვაობით წავაგეთ, ამან შეიძლება ფსიქოლოგიურად დაგვთრგუნოს, შესაძლოა, ბიჭები ტუნისთან მატჩისთვის შესაბამისად ვეღარ განეწყონ."

**ანდრეი კოვალენკო:** „ქართველებთან თამაში ძალიან საინტერესო იქნება. თქვენებმა უკვე მოხვდნენ მსოფლიოს თასზე და დაამტკიცეს, რომ მართლაც ძლიერები არიან. ფავორიტი საქართველოა."

კვლავ **პერესი:** „რუსებთან დიდი სხვაობით იმიტომ წავაგეთ, რომ ბიჭები ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ. თანაც მეორე ტაიმში რუსებმა აშკარად გვაჯობეს ფიზიკურ მომზადებაში. ამასთან, მეტოქე გაათმაგებული ყინით თამაშობდა, რაც ცნობილი ამბების შემდეგ გასაკვირი სულაც არაა."

**ხუან ლუკე:** „მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის პირველ, მადრიდულ მატჩში რუსებთან 3:36 წავაგეთ. საპასუხო შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე 38:8 ვიგებდით, სამად სამი ქულა გვქონდა ამოსაღები. ამ დროს რუსებმა სამივე სამხრეთაფრიკელი შემოიყვანეს და ანგარიშში სხვაობა შემცირდა. მატჩის შემდეგ რუსებს აფრიკელების პასპორტი მოვთხოვეთ, რაზეც უარი მივიღეთ სრულიად აბსურდული მიზეზით. მასპინძლებმა გვითხრეს, პასპორტები სასტუმროში დარჩაო. ჩვენ რაგბის საერთაშორისო საბჭოში ვიჩივლეთ და სამართალსაც მივაღწიეთ."

*ამის შემდეგ ესპანელებმა მოგვიბოდიშეს, ვარჯიში გვეწყებაო და საპრესკონფერენციო დარბაზი დატოვეს. კითხვებზე საპასუხოდ კი ბორჯღალოსანთა მწვრთნელი კლოდ სორელი მოემზადა. მანამდე სორელმა ახალი წელი(!) მოგვილოცა. რა ვქნა, ამის შესაძლებლობა ახლაღა მეძლევა და სწორს გეტყვით, ... არასდროსო. მერე სორელმა ესპანურ-რუსული სკანდალის თემა განაგრძო და რუსები გაკრიტიკა მეტად.*

**კლოდ სორელი:** რუსებმა არაღ ჩაიგდეს სპორტული ღირებულებები. მათთვის უცხოა პატიოსნება და სამართლიანი თამაში. მე ალალად მწყდება გული რუს მორაგბეებზე, რომელთაც ბრალი არ მიუძღვით და ხელმძღვანელთა უზნეობის გამო მსოფლიოს თასზე თამაშის პერსპექტივა მოესპოთ. რუსებს, რა თქმა უნდა, არ უყვართ წაგება, მაგრამ მათ არ იციან კაცურად წაგება. წარუმატებლობის მიზეზებს ისინი ეძებენ ყველგან, ოღონდ არა საკუთარ თავში. ვულოცავ ესპანელებს, რომლებმაც ამხილეს რუსები და მოუგეს ბრძოლა სამართლიანობისთვის...

...ძალიან გთხოვთ, ნუ შეგექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს წლეულს ერთა თასის მოგებას არ ვაპირებთ ჩვენი ამბიციები იგივეა, რაც შარშან, შარშანწინ. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი მარცხით დავიწყეთ, შანსები კიდევ არის, თანაც საკმაოდ რეალური.

— რაც შეეხება ექსპერიმენტებს, ეს ახლა თუ არ გავაკეთე, მერე გვიან იქნება. ერთა თასი ის შეჯიბრია, რომელშიც თამამად შეიძლება ახალბედების გამოცდა.

— ესპანელებთან მატჩისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადებით. პორტუგალიასთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა ბიჭები, რომ მეტოქის დაუფასებლობა დამღუპველია, რაც უნდა უსახელო მოწინააღმდეგე გყავდეს. რა თქმა უნდა, გვქონდა პრობლემები, მაგრამ სერიოზული არაფერია. პრობლემებში ვგულისხმობ ტრავმებს, რომელიც რაგბისთვის ჩვეული მოვლენაა. ხვალ ძალიან ბევრი გამოუცდელი მორაგბე ითამაშებს, ოღონდ ეს იქნება ნამდვილი საქართველოს ნაკრები და არა მისი შერბილებული ვარიანტი. ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. ვინც დაიმსახურებს, ის ითამაშებს.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველოს რაგბის კავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან მორაგბეს გოგი სუთიაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო**

## ტრავმა და ექსპერიმენტი გასაგებია... ტრავმულ ექსპერიმენტზე ბოდიში

**გუშინდელ** პრესკონფერენციაზე კლოდ სორელმა საესპანეთო ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა დაასახელა. ნაკრები შესამჩნევად გადახალისებულია, რაც ძირითადად ტრავმების ბრალია. დაშავებულთა ვრცელ სიაში გუშინ ჩაეწერნენ ირაკლი აბუსერიძე, ბესიკ ხამაშურიძე და გიორგი ჩხაიძე. ესენი პორტუგალიასთან მატჩში დაშავდნენ. იმედი, რომ ამ შეხვედრისთვის გამოჯანმრთელდებოდნენ, არ გამართლდა. ამ სამეულის შემცვლელებად სორელმა საქართველოში მოთამაშე მორაგბეებს უხმო. ნაკრების 22-კაციან შემადგენლობაში პირველად მოხვდნენ „უნივერსიტეტის" ნახევარმცველი არჩილ ჭუმბურიძე და „ორბელი-ლელოს" მოიკინალი მამუკა გორგოძე. ხამაშურიძის არყოფნაში სათადარიგოებიდან ძირითადში დაწინაურდა ბადრი ხეხელაშვილი, რომლის ადგილს მარქაფში „აკადემიის" გარემარბი გიორგი ელიზბარაშვილი დაიკავებს.

ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშებენ შარშანდელი შედეგებით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბე, ლელოელი მერაბ კვირიკაშვილი და ფრანგული „კანის" მეორეხაზელი ზვიად მათიაშვილი. „უნივერსიტეტის" შერკინების ფრთას ირაკლი გუნდიშვილს კი სორელმა ამპლუა შეუცვალა და უკანა ხაზში დასვა.

| საქართველო | | ესპანეთი |
|---|---|---|
| ბადრი ხეხელაშვილი | 15 | ფერან ველასკო |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | მანუელ კასკარა |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | სებასტიან ლუბსენსი |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | ალვარ ენსიზო |
| ვასილ კაცაძე | 11 | ხაიმე ნავა |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | ანდრეი კოვალენკო (კაპ) |
| მერაბ კვირიკაშვილი | 9 | ანტონიო ბელტრანი |
| ილია ზედგინიძე (კაპ) | 8 | ალფონსო მატა |
| გრეგუარ იაშვილი | 7 | სტივ ტუინიუ |
| დავით ბოლღაშვილი | 6 | ივან კრიადო |
| ვიქტორ დიდებულიძე | 5 | მიგელ აბრილი |
| ზვიად მათიაშვილი | 4 | იგნასიო დე ლა მაცა |
| სოსო ნიკოლაენკო | 3 | ანტონიო ორტეგა |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | დავიდ მონრეალი |
| გოდერძი შველიძე | 1 | ხავიერ სალასარი |
| **სათადარიგოები** | | |
| ტარიელ რატიანიძე | 16 | მარკოს მელა |
| დავით ხინჩაგაშვილი | 17 | როჩერ რიპოლი |
| მამუკა გორგოძე | 18 | სერხიო სოუტო |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 19 | რამირო გარსია სალასარი |
| არჩილ ჭუმბურიძე | 20 | პაბლო ფეიხუ |
| ირაკლი გუნდიშვილი | 21 | ფერნანდო დიესი |
| გიორგი ელიზბარაშვილი | 22 | მიგელ ანხელ ფრეჩილია |



ნაკრების დებიუტანტი არჩილ ჭუმბურიძე

## ექვსი ერი 2003

*ამ უქმეებზე ექვსი ერის მეორე ტურია. ტური, რომელშიც ალბათ ყველაფერი წინასწარაა ცნობილი. ტურნირის სამივე ფავორიტი — ინგლისი, საფრანგეთი და ირლანდია ექვსი ერის საზომით საშუალო დონის მეტოქეებს ეთამაშებიან და სენსაცია ის იქნება, რომელიმემ ვერ მოიგოს. სულ მცირე ინტრიგა საფრანგეთ-შოტლანდიას ახლავს. ინგლისთან წაგების შემდეგ „მამლების" მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა სულ ცოფები ყარა და ჯოხი მსაჯებსა და თავის ჯილა ჯერალდ მერსერონზე გადატეხა.*



# ლაპორტი მამლებს ჯოხით დასდევს

**საფრანგეთი — შოტლანდია**
**23 თებერვალი. პარიზი. „სტად დე ფრანს"**

„ინგლისთან წაგებული მატჩის ვიდეოფირი რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ მსაჯებმა ცხრა ქულა აჩუქეს მასპინძლებს. ინგლისთან კი ეს ძალიან ბევრია. ამას დაუმატეთ ჟერალ მერსერონის უჯიგრო თამაში და მარცხის მიზეზთა მოსაძიებლად შორს წასვლა აღარ დაგვჭირდება. ბოლო დროს მეტ ლმობიერებას ვიჩენ, დროა, გუნდში რეჟიმი გავამკაცრო. ზოგიერთს თავში აუვარდა" — განაცხადა ლაპორტმა.

„ზოგიერთში" ლაპორტი პირველ რიგში მერსერონს გულისხმობდა, რომელმაც ინგლისთან მისთვის სამარცხვინო ოდენ ერთი გარდასახვა მიითვალ. შოტლანდიასთან მერსერონი სათადარიგო სკამზე იჯდება. მე-10 ნომრად კი მწვრთნელმა „აჟანის" დამრტყმელი ფრანკო გელესი გაამწესა.

24 წლის გელესი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია და თავის კლუბს ამ სეზონში უკვე 173 ქულა მოუნაგრა. „მისი შედეგიანობა აღფრთოვანებას იწვევს. გელესის დარტყმულებიდან ოთხმოცდაათი პროცენტი მიზანში ხვდება. იგი მოვლენაა" — აქო და აქო გელესი ლაპორტმა.

ახლა შოტლანდიელთა ბანაკშიც შევიხედოთ. „მამაც გულებს" უკანახაზელი კრის პეტერსონის ეიმედებათ, რომელიც კარგ ფორმაშია და გუნდის ლიდერად ყალიბდება. „ფრანგები ახლა აჭრილები არიან. ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ, თუმც რა დასამალია და მასპინძლები აშკარა ფავორიტები არიან" — თქვა პეტერსონმა.

**უელსი — ინგლისი**
**22 თებერვალი. კარდიფი. „მილენიუმი"**

უელსს ნახევარი გუნდი ლაზარეთში ჰყავს. ტრავმირებულები არიან ძირითადი შემადგენლობის მორაგბეები: სტივენ ჯონსი, ნილ ჯენკინსი, რობი მაკბრაიდი, ბარი უილიამსი, სონი პარკერი და მარკ ჯონსი.

უელსელთა მწვრთნელი სტივ ჰანსენი იძულებული გახდა, ნაკრებში დაებრუნებინა 34 წლის მორკინალი ჯონათან ჰემფრიზი, რომელმაც ბოლოს სანაკრებო კვართი ოთხი წლის წინ მოირგო. „ჯონათანი ნაკრებში დაბრუნებაზე ძლივს დავითანხმე. რა ვქნა, გუნდი კი არა, ჰოსპიტალია. რას ვიფიქრებდი, თუ მორაგბეების ძებნა კარდაკარ მომიხდებოდა" — გულგატეხილია ჰანსენი.

ინგლისელებს არ ეყოლებათ 100 კეპის მომხვეჭი ჯეისონ ლეონარი და ფილ ვიკერი, ორივე ტრავმირებულია. სამაგიეროდ, მომჯობინდნენ და თავიდანვე ითამაშებენ ლოურენს დალალიო და კირან ბრაქენი.

**იტალია — ირლანდია**
**22 თებერვალი. რომი. „სტადიო ფლამინიო"**

ირლანდიელები სტუმრად კი თამაშობენ, მაგრამ მაინც ორ ქულას გეგმავენ. მათ მწვრთნელ ედი ოსალივანს სხვა შედეგის გაგონებაც არ სურს: „თუ გვინდა, ექვსი ერის ფავორიტებიდან არ ამოგვშალონ, მაშინ იტალიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ. მართალია, მეტოქე ახლა კარგ ფორმაშია და მადაც გაუხსნა, მაგრამ ობიექტურად ჩვენზე სუსტია". ოდნავ ფრთხილობს ირლანდიელთა კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი: „იტალიამ საექსერო გამოცდილება შეიძინა და ოდნავ ჩამოძინებასაც კი არ გვაპატიებს, ამიტომ სიფრთხილე გვმართებს. რაც ვიცით, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ."

იტალიელთა მწვრთნელი ჯონ ქირვანი ირლანდიელებს იმ შემადგენლობას დაახვედრებს, გასულ უქმეებზე უელსს რომ მოუგო. ქირვანი პროგნოზებისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ ირლანდიას იმ შემთხვევაში დაამარცხებენ, თუ სათამაშო სივრცეს შეუზღუდავენ.

ციურიხის სარეიტინგო კანტორის პროგნოზი: ირლანდია 15 ქულით მოიგებს.



# ლაბაძე — ბლეიკი 2:0 მემფისში, 2:1 ცხოვრებაში

**KROGER ST. JUDE**
**მემფისი. ჰარდი**
**კაცები. საპრიზო 690 ათასი $**

**მეორე წრე**

**ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) 7:6 (7:2), 7:6; ენდი როდიკი (1, აშშ) — პიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 5:7, 6:4, 7:6 (7:3); მარდი ფიში (აშშ) — პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) 6:7 (4:7), 7:6 (7:5), 6:1; ტაილორ დენტი (აშშ) — ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) 7:6 (10:8), 7:6 (7:4); ვინსენტ სპადია (აშშ) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:4; ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ჯეფ მორისონი (აშშ) 6:2, 4:6, 6:4; ბრაიან ვაალი (აშშ) — ერიკ ტაინო (აშშ) 6:2, 6:4; როგი ჯინეპრი (აშშ) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 7:6 (7:5)**

მეორე წრის შემდეგ მემფისურ მაგარსაფარს მხოლოდ ერთი განთესილი — შარშანდელი ჩემპიონი და ამჟამინდელი პირველმეჩოგნე ენდი როდიკი შემორჩა.

სასიხარულოა, რომ განთესილთა რბევაში თავისი ზორბა წვლილი იმ დღეს ირაკლი ლაბაძემაც შეიტანა, ვინაც ორსეტიან დაძაბულ ბრძოლაში შარშანდელ ფინალისტსა და წლეულს მესამენომროსან ჯეიმს ბლეიკს აჯობა.

მემფისში ჩასვლამდე ლაბაძეს წლეულს მხოლოდ ერთი მატჩი მოეგო (ისიც ჰამბურგის ჩელენჯერტურნირზე ვინმე დიმიტრი ბაბენკოსთვის), სა-ATP-ო სამი შეხვედრიდან კი ის სამივეში იძლია. მეოთხედფინალამდე მან ბოლოჯერ შანხაიში, 2001 წელს გააღწია, ხოლო ჯეიმს ბლეიკთან აქამდე ორჯერ ეთამაშა და 1999 წელს ორლანდოურ ჰარდზე 2:6, 2:6 რომ დაუთმო, ორი წლის შემდეგ ბირმინგემულ თიხნარზე 6:2, 6:3-ით სამაგიერო გადაუხადა. გამოდის, რომ ახლა ლაბაძე მსოფლიო კლასიფიკაციის 23-ე საფეხურზე მდგომ 23 წლის შავტუხა ამერიკელს (ვისაც შარშან უსექსუალურესი ხვადმეჩოგნის სალაღობო ტიტულიც კი ებოძა) 2:1 უგებს.

ლაბაძე: „მნიშვნელოვანი მატჩები აქამდეც მომიგია — შარშანწინ შანხაიში აგასის ვძლიე, შარშან უიმბლდონზე ელ აინაუის. მაგრამ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ ამ გამარჯვებას ჩემთვის გამორჩეული მნიშვნელობა აქვს...

ნოემბერ-დეკემბერი იდაყვის ტრავმამ წამიმურდლა, რის გამოც თვითრწმენა დავკარგე და სეზონი უფერულად დავიწყე. ყველაფერი აქ შეიცვალა — მემფისში საუცხოოდ მოვემზადე. ეგეც არ იყოს, დასაკარგი არაფერი მქონდა. ჩემს მწვრთნელს ასეც ვუთხარი — უკანასკნელ ექვს ტურნირზე პირველივე წრეში დავმარცხდი, დიდი ამბავი, ეს მეშვიდეჯერაც თუ მოხდება-მეთქი."

ბლეიკი: „წინა წრეში კარგად ვითამაშე, დღეს კი ამის გაკეთება ველარ შევძელი. ცხადია, რომ ეს უმთავრესად ირაკლის დამსახურებაა. მან მძლავრად ითამაშა უკანა ხაზიდან და უამრავი საქულე დარტყმით ამიკლო. ის ერთი იმ მეჩოგნეთაგანია, რომლებსაც ჩემი შევიწროვება და ჩემთვის თამაშის წართმევა შეუძლიათ."

მეოთხედფინალში ქართველი ისევ ამერიკელს, ჯორჯიელ ბრაიან ვაალის შეხვდება. ვაალი ბლეიკის დარად 23 წლისაა, მაგრამ მასზე გაცილებით უსახელო და სუსტი მეჩოგნე გახლავთ. იმ დღეს მან კიდევ უფრო უჩინარ თვისტომს, ვინმე ერიკ ტაინოს მოუგო. სათქმელია ისიც, რომ ლაბაძე მას აქამდე არასოდეს დაპირისპირებია.

სხვაფრივ — ბოლო რვეულში გასასვლელად ენდი როდიკს 140-წუთიანი ომის გადახდა და სამი მატჩბურთის მოგერიება მოუხდა გაჯიქებულ კორეელ ლისთან. ლის გზასვე მიჰყვა აზიელთა მთავარი იმედიც — პარადორნ შრიჩაფანიც, ვინაც წლეულს რიგიანად მოჩოგნავე მარდი ფიშმა აოტა.

**ლევან ძელაურაძე**

**ქალები. საპრიზო 170 ათასი $**

**მეოთხედფინალი**

**ლაურა გრენვილი (აშშ) — სილვია ფარინა ელია (1, იტალია) 2:6, 7:6 (8:6), 6:4; ლიზა რეიმონდი (2, აშშ) — კერლი გელიკსონი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4; ამანდა კუცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 7:5, 6:4; იონ-ძეონ ჩო (სამხრეთ კორეა) — საორი ობატა (იაპონია) 6:0, 6:3**

**ABN AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT**
**როტერდამი. ჰარდი**
**საპრიზო 800 ათასი $**

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 3:6, 6:4, 6:1; როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:0, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:4; სებასტიან გროჟანი (6, საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:5, 6:3; ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:3, 6:7 (1:7), 7:6 (7:4); მაქს მირნი (ბელარუსი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 4:2 (ლიუბიჩიჩმა შეწყვიტა); რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:6 (9:7), 2:6, 6:3**


[illegible] კალანდაძის ფოტო

**მეოთხედფინალი**

**მაქს მირნი (ბელორუსია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 7:6(7:5), 7:6(7:4); როჯერ ფედერერი (2, შვეიცარია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:4**

**COPA AT&T**
**ბუენოს აირესი. თიხა**
**საპრიზო 380 ათასი $**

**მეორე წრე**

**გასტონ გაუდიო (4, არგენტინა) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:6(7:4), 4:6, 6:0; გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:4, 6:7(5:7), 7:5**

**DUBAI DUTY FREE WOMEN'S OPEN**
**ჰარდი. საპრიზო 585 ათასი $**

**ნახევარფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) 7:5, 4:6, 6:4; მონიკა სელეში (4, აშშ) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 6:3, 2:2,** *მორესმომ შეწყვიტა*



## რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი 6:2 ედმონტონი** *2:0 3:1 1:1*

**პიტსბურგი 2:5 კოლორადო** *0:0 1:3 1:2*

**სენტ ლუისი 2:4 ვანკუვერი** *0:2 2:1 0:1*

**ვაშინგტონი 2:6 ტორონტო** *0:1 1:1 1:4*

**ოტავა 3:4 ფლორიდა** *0:0 1:0 2:4*

**ფილადელფია 5:0 ლოს ანჯელესი** *1:0 1:0 3:0*

**ჩიკაგო 1:2 ფინიქსი** *0:1 1:0 0:1*

# სანდრინო კოტორიიინო 60

**ალექსანდრე კოტორაშვილი** სამოცისა მოყრილა, მაგრამ ისევ ისეთი მკვირცხლი, მოძრავი, მოუსვენარი, ენერგიული და მხიარულია, როგორიც თექვსმეტისა იყო, როცა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" მამის ნაყიდი „ფედით" გადაღებული მისი პირველი ფოტო დაიბეჭდა.

აი, მაშინ უნდა გენახათ მისი სიმკვირცხლე, როცა ალიონზე წამოხტა, გავარდა, გაზეთის ის ნომერი სულ დასტა-დასტა იყიდა და მეცხრე ცაზე მფრინავმა ქვეყანას მოსდო, აი, ეს ჩემი გადაღებულიაო.

მას მერე უამრავი კარგი ფოტო გადაიღო. 1963 წლიდან მოყოლებული დღემდე ქართული სპორტის მემატიანე და უმდიდრესი არქივის მფლობელი გახდა. მრავალ გამოფენაში მონაწილეობდა და პერსონალური ექსპოზიციებიც მოაწყო ჩვენში თუ უცხოეთში. რამდენჯერმე ფოტოკონკურსებში პრემიებსაც გამოჰკრა ხელი.

აი, მაშინაც უნდა გენახათ მისი სიხარული.

70-იან წლებში ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ერთი ისეთი კარგი ფოტო გადაიღო, რომ თვით იაპონელებიც აღაფრთოვანა. მერე იმ ფოტოს ამომავალი მზის ქვეყანაში წალმა-უკულმა ატრიალებდნენ, ნაირგვარ გამოცემებში ბეჭდავდნენ და ვეება პლაკატზეც დასტამბეს. როცა იმ კეთილმა იაპონელებმა შეიტყვეს, ის ფოტო დანჯღრეული „ზენიტით" იყო გადაღებული, კოტორას „ნიკონის" ბოლო მოდელი უყიდეს თავისი ობიექტივებით.

და მაშინაც უნდა გენახათ ჩვენი კოტორას სიხარული.

ის მექანიკური ფოტოაპარატი მერე ყველამ ელექტრონულით შეცვალა. ახლა პროფესიონალთათვის ელექტრონულიც წარსულს ჩაბარდა და ციფრული კამერებით აღიჭურვნენ, კოტორა კი ისევ ქვის ხანაში დარჩა.

უცნაური ისაა, რომ იქიდან გამოსვლაც არ უნდა. ამბობს, სურათის გადასაღებად აპარატმა კი არა, კაცმა უნდა იფიქროსო.

ჰოდა, ფიქრობს ჩვენი კოტორაც... და ახლაც ისევე უხარია კარგი ფოტოს გადაღება და ისევ ისე დააფრიალებს გაზეთებს თუ სურათებს, როგორც მაშინ, თექვსმეტი წლისა რომ იყო.

ისიც უცნაურია, რომ მას მერე მაინცდამაინც გარეგნულადაც არ შეცვლილა. ერთი ღერი თმაც კი არ აკლია. ეგაა, ცოტა გაგვიჭაღარავდა ჩვენი სანდრინო თუ კოტორა, როგორც მას თანამშრომლები და მეგობრები ეძახიან, თავად კი ზოგჯერ საკუთარ თავს გასამხნევებლად მოიტალიუროდ შესძახებს ხოლმე: სანდრინო კოტორიიინო!

და ჩვენს კოტორინოს ჩვენს შორის ყოფნა უხარია. ამიტომაც ბოლო სამი წლის განმავლობაში მესამედ გვეპატიჟება თავის მესამოცე დაბადების დღეზე, რაც უცნაურად სულაც აღარ გვეჩვენება. ჰოდა, გახარებული გვეუბნება, მალე ბათუმელები მიხდიან 60 წლის იუბილესო. თბილისის სპორტკომიტეტმა მისი ეს თარიღი უკვე აღნიშნა, მერე ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პრემიითაც მიულოცა, ახლა კიდევ ბათუმიო...

და ახლა, მგონი, მართლაც სამოცისა მოიყარა. მაგრამ აკი ვთქვით, ამ ხნისას სულაც არ ჰგავსო. ის კი ნაღდია, რომ სპორტულ ფოტორეპორტიორად მოღვაწეობაში თარიღი დამრგვალებია.

ასეა თუ ისე, ერთში დარწმუნებულნი ვართ, ალექსანდრე კოტორაშვილი თავის დაბადების დღეზე ბათუმში გაშლილ სუფრებს შორისაც არ მოიშლის ფოტოაპარატით სიმკვირცხლეს და იქაც დასჭყივლებს: „სანდრინო კოტორიიინო!"

**ავთანდილ ტყვიშელი**


ბურთი აქვს მესხს, მოატყუა ერთი...
ალექსანდრე კოტორაშვილის მრავალთაგან ერთი კარგი ფოტო



REUTERS ტუნიკადან

# დახატული მამა

სადღეისო ბრძოლისთვის ასე თუ ისე მზადმყოფმა მაიკ ტაისონმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა ტუნიკის „გრანდ კაზინოში", სადაც მოხატული თავ-პირი და თავისი ფუმფულა ვაჟი, მიგელი წარუდგინა საჯაროდ მედიას. აწონვაზე ტაისონი ხალისიანი იყო და სიცილით ემუქრებოდა მეტოქეს, კლიფორდ ეტიენს, რომელსაც ამაღამ მემფისის „პირამიდის" დარბაზში ელის.





REUTERS ტუნიკადან



REUTERS აშშ რუზერფორდიდან

# ძველებურად

როცა ბურთს უნდა მისწვდე, არც მსაჯი გახსოვს და არც სხვა ვინმე. ნიუჯერსელი ჯეისონ კიდი იატაკზე მისრიალებს. მისი გუნდი კი 98:91 უგებს „ინდიანას". ეს შეხვედრა სხვა რამითაც იყო დასამახსოვრებელი: „ნეტსმაც" და „პეისერსმაც" ძველებური სამოსი მოირგეს, ზუსტად ისეთი, მათ წინაპარ კალათბურთელებს რომ ეცვათ, როცა ეს გუნდები ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში (ეიბიეი) თამაშობდნენ და არა ენბიეიში.

# დუბაის ბრჭყალებში

დუბაის ტურნირი იოლ გასეირნებად ჩანს ჯენიფერ კაპრიატისთვის, რომელსაც იმისთვისაც კი მოუცლია ჩოგბურთის მატჩის წინ, რომ მანიკურ-პედიკურის სალონში გაუტარებია ნახევარი დღე. ეს არის, მთელი ბრჭყალები თუ სალონში დატოვა, კორტზე რაღას იბრძოლებს.



REUTERS დუბაიდან

# კანუს გული

თავიდან ნაოპერაციევგულიან ნვანკვო კანუს, „კანუს გულის ფონდი" დაუარსებია, რომელიც გულის სნეულებებით შეჭირვებულ აფრიკელ ბავშვებს დაეხმარება. აფრიკული ფესვის ლონდონის გუნდების ვარსკვლავები გვერდში უდგანან „არსენალის" ფეხბურთელს და გეგმავენ, რომ საქველმოქმედო მატჩი გამართონ აფრიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებებს შორის. კამერუნელი ლორანი, ჰოლანდიელები მარიო მელხიოტი და ვინსტონ ბოგარდი, ფრანგი მარსელ დესაი და ინგლისელი კარლტონ კოული კანუს მხარდამხარ ითამაშებენ ამ მატჩში. კანუ ფიქრობს, რომ თამაში 300 ათას გირვანქას მოიტანს, რაც ოცი ბავშვის ოპერაციისთვისაა საკმარისი. სულ კი კანუს სიაში 2236 საოპერაციო ბავშვია.





REUTERS ლონდონიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge